სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში
როგორც საისტორიო წყარო

მარიამ ჩხარტიშვილი
ნინო გოგრიჭიანი
ელა კაკავა
ეთერ მიქაძე
ნინო ტიფაძე
ნუნუ ხარაიშვილი

სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში როგორც საისტორიო წყარო

Textbooks in National History as Historical Sources

Mariam Chkhartishvili
Nino Gogrichiani
Ela Kakava
Eter Mikadze
Nino Tivadze
Nunu Kharaishvili

Textbooks in National History as Historical Sources

Tbilisi
2016

მარიამ ჩხარტიშვილი
ნინო გოგრიჭიანი
ელა კაკავა
ეთერ მიქაძე
ნინო ტივაძე
ნუნუ ხარაიშვილი

სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში როგორც საისტორიო წყარო

თბილისი
2016

ნაშრომი არის ნაწილი კვლევისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა და მისი სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია“ სტუდენტებმა ჩაატარეს უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამით გათვალისწინებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით“ ფარგლებში. კონკრეტულად, წარმოდგენილია რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ მოკლე ინფორმაცია. მოცემული მიმოხილვა კარგად აჩვენებს ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების როგორც საისტორიო წყაროების მნიშვნელობას.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლების და მკითხველთა ფართო წრისათვის.

The present publication is a part of the work which was accomplished by Tbilisi State University Professor Mariam Chkhartishvili and students of her MA Program “History of Georgia” in terms of the grant project “Images of Collective Memory of Georgians according to Textbooks in National History” awarded by the University. In particular there is presented brief information on relevant academic literature. The provided observation shows well that textbooks in national history are valuable sources for history representation.

The work is intended for students, school teachers and general reader.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 7-13

თეორიული ჩარჩო 14-19

სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში:
მრავალი გამოცდილება, სხვადასხვა კვლევითი
ფოკუსი..... 20-59

დასკვნა..... 60-62

C o n t e n t s

Preface…….....……....7-13

Theoretical Framework …….....……14-19

Textbooks in National History:
Different Experiences, Different Research Focuses……....… 20-59

Conclusion…….....…… 60-62

წინათქმა

2007 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა „საქართველოს ისტორია“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და რომლის ფარგლებშიც ჩემ მიერ ორი სემესტრის განმავლობაში იკითხება ათკრედიტიანი კურსი „ქართული იდენტობის ისტორია“. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა სანიმუშოდ კარგმა სტუდენტმა დაამთავრა ეს პროგრამა. გასული წელიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა: სამაგისტრო ჯგუფი მოტივირებული ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. როცა იდენტობის ისტორიის წყაროებს შევეხე, სხვა წყაროებთან ერთად დავასახელე სახელმძღვანელოებიც ეროვნულ ისტორიაში და დავალება მივეცი სტუდენტებს, რომ თითოეულ მათგანს შესაბამისი ინფორმაციის ამოსაღებად დაემუშავებინა რამდენიმე სახელმძღვანელო.

სტუდენტებს მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდათ, როცა უნივერსიტეტში მიზნობრივი სამეცნიერო კვლევების ფარგლებში გამოვხადდა საგრანტო კონკურსი. ეს კონკურსი ითვალისწინებდა პროფესორებისა და სტუდენტების თანამშრომლობას. გადავწყვეტე ამ კონკურსში მონაწილეობა მიმეღო ჩემს ხუთ სტუდენტთან ერთად. წარვადგინეთ პროექტი „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული სახელმძღვანელოების მიხედვით.“ საბედნიეროდ, გრანტი მოვიპოვეთ და შესაბამისი გამოკვლევა ჩავატარეთ.

სახლმძღვანელო, როგორც მედია საშუალება და როგორც კოლექტიური მეხსიერების რეპრეზენტატორი, საერთაშორისოდ იდენტიფიცირებული სამეცნიერო პრობლემაა და მისი მნიშვნელობა და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. ცხადია, არც ისაა საკამათო, რომ ქართული მაგალითით უნდა გამდიდრდეს არსებული საერთაშორისო გამოცდილება. ამავე დროს საქართველოს ისტორიაც შეივსოს ახალი

რაკურსით დამზერის შედეგად მოპოვებული ფაქტებით. მიუხედავად აქტუალობისა, საქართველოში ამ კუთხით ჯერ მაინც ცოტაა გაკეთებული, თუმც რაც არის, ძალიან საინტერესოა. არსებული გამოკვლევები ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეული სახელმძღვანელოების შესწავლას და მათში წარმოდგენილი დისკურსის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას ისახავს მიზნად. [1]

ჩვენ გადავწყვიტეთ კვლევა დაგვეფუძნებინა უფრო ფართო წყაროობით ბაზაზე ანუ უფრო მეტი საკვლევი ობიექტი შემოგვეტანა, ამავე დროს გაგვეზარდა იმ ინდიკატორების რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც მასალას განვიხილავდით. თავიდან მოვიძიეთ განურჩევლად ქრონოლოგიისა, ყველა ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო, მაგრამ შემდეგ, რადგან პროექტი ძალიან მოკლევადიანი (8-თვიანი) იყო, გადავწყვიტეთ შემოგვეფარგლა კვლევა მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიდრე ამ საუკუნის ათიან წლებამდე. ეს

---

[1] იხ. მაგალითად, თ. ქარაია. 1922-1993 წწ. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ისტორიის აფხაზურ და ქართულ სახელმძღვანელოებში, აფხაზეთი: ისტორია და პოლიტიკა / პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008. გვ. 18-22. - ნ.ჩიქოვანი, ქ.კაკიტელაშვილი. 1918-1921 წლების რეპრეზენტაციის დინამიკა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, ქართული წყაროთმცოდნეობა XII, 2010, გვ.232-240.K.Kakitelashvili. Reconstraction of History and Nation Building in Post Cold War Era: South Caucasus and the Balkans. The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black See. Edited by Ivan Biliarsky, Ovidiu Kristea, Anca Oroveanu, Cambridge Scholars Publishing, 217-225, 2012; К. Какителашвили. Реконструкция прошлого в абхазских и грузинских школьных учебниках по истории. Многоликая Клио: бои за историю на постсоветском пространстве. Georg-Eckert-Institut for Internationale Schulbuchforschung. Braunschweig, 2010, pp 75-97; Н. Чиковани. Образы себя и соседей в учебниках истории Грузии: репрезентация событий начала XX века в постсоветский период, 61-81. In: History Lessons of the 20^{the} c: “Our Neighbors” and “Us” (Turkey and the South Caucasus), Tbilisi, 2011. Р. Барамидзе. «9 апреля» 1989 года, как место памяти: политика коммеморации и преподавание истории Грузии. In: History Lessons of the 20the c: “Our Neighbors” and “Us” (Turkey and the South Caucasus), Tbilisi, 2011. ი. გოგავა. საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი. Teachers’ first conference “University and School - essential to each other”, 29-30 November 2013. Materials GESJ: Education Science and Psychology 2014, no1 (27).

არის მეტად საინტერესო პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში. საბ-ჭოთა იმპერიიდან გამოსვლა და ხელახლა დამოუკიდებელი სახელ-მწიფოს მშენებლობა. ამ პერიოდში ყველაფერი არამყარი და დაუ-ლაგებელია, იდეოლოგია და სახელმწიფო ინსტიტუციები ამორფუ-ლია, სუსტია ხელისუფლება. ეს ვითარება, ცხადია, ასახვას პოუ-ლობს განათლების სისტემაზე და სახელმძღვანელოებზეც. სახელ-მძღვანელოები მრავლდება, რეკომენდებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე.

არსებული გამოცდილების ფართო გათვალისწინებამ საშუალე-ბა მოგვცა სახელმძღვანელოების განსახილველად შეგვერჩია მრავა-ლი ინდიკატორი. ჩვენი მთავარი კითხვა იყო შემდეგი: რას წარმო-ადგენს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები: ეს ისტორი-ული რეპრეზენტაციის ცდაა თუ კოლექტიური მახსოვრობის ნარა-ტივი? სხვაგვარი ფორმულირებით: როგორ მიეწოდება ეს საგანი მოსწავლეებს, როგორც სამეცნიერო დისციპლინაში დახელოვნების თუ როგორც პატრიოტიზმის იდეებით გამსჭვალვის საშუალება?

როგორც ითქვა, სხვა ერების გამოცდილება ამ კითხვებზე გარ-კვეული პასუხს იძლევა. საჭირო იყო ამ პასუხის შემოწმება ქართუ-ლი მაგალითით.

აუცილებელი იყო დავკვირვებოდით: ა) სახელმძღვანელოთა შე-სავალ ნაწილში განმარტებულ მიზანს; ბ) რეპრეზენტაციის სტილს: იყო ის ანალიტიკური თუ დესკრიფციული; დ) ინფორმაციას ის-ტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, მისი საზოგადობრივი ფუნქციების შესახებ; აგრეთვე, კონკრეტული ფაქტების რეპრეზენ-ტაციის პარადიგმებს: მაგალითად, ეთნოგენეზისისა და ნაციათმშე-ნებლობის პროცესების რეპრეზენტაციას; ავტორიტეტის პრობლე-მას: ანუ ავტორის მიერ საკუთარი აზრის და სხვისი აზრის დამოწმე-ბის სიხშირესა და მიმართებას; ავტორის კონტაქტს მკითხველთან და საკითხის პლურალისტულ ინტერპრეტაციის (თუ იყო ასეთი) შემთხვევებს. საქართველოს საზოგადოების მულტიეთნიკურობა და მულტიკონფესიურობა როგორ ასახვას პოულობდა სახელმძღვანე-

ლოში; საქართველოს ისტორიის საკითხების წარმოდგენისას რამდენადაა გათვალისწინებული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკა (მაგალითად, გენდერული კვლევები, ოჯახის კვლევები, ყოველდღიურობის ისტორია, მენტალობის ისტორია, ტოტალური ისტორია) ან თუნდაც საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში ბოლოდროინდელი მიღწევები, ისინი, რომლებიც განსხვავებულია ქართული იდენტობის მარკერად ქცეული ი.ჯავახიშვილისეული „ქართველი ერის ისტორიის“ ტომეულებში დაფიქსირებული თვალსაზრისისაგან; გმირებისა და ანტიგმირების რეპრეზენტაცია, მტრის ხატის რეპრეზენტაცია და ა.შ. ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აქვს, ერთი მხრივ, თეორიული ინტერესი: ასე დახასიათებული სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში ქართული საზოგადოების სარკეა და ამ საზოგადოების რაობის შესახებ ყველაზე დამაჯერებელი მსჯელობის საშუალებას იძლევა; მეორე მხრივ, პრაქტიკული, რადგან მოსწავლის, სტუდენტის შემდგომი ცხოვრებისათვის და, შესაბამისად, იმ სახელმწიფოს ცხოვრებისათვის, რომლის მოქალაქეებიც ეს მოსწავლეები და სტუდენტები ხდებიან, გადამწყვეტია, თუ პიროვნება სკოლის მერხიდანვე შეჩვეულია პლურალისტულ დისკურსს, შეჩვეულია იმ აზრს, რომ ისტორიის მონოპოლზება არ შეიძლება, რომ საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა; თუ მოსწავლემ, სტუდენტმა იცის რომ ყველა რეპრეზენტაციას ჰყავს ავტორი და ეს არაა *გამოცხადებით* მიღებული ცოდნა, დოგმა, რომელიც ერთი და სამუდამო უნდა იყოს ყველასათვის. ამის მცოდნე მოქალაქეთა სახელმწიფოში, ცხადია, სოციალური დაძაბულობა ნაკლებია.

ჩვენ მიერ განხილული სახელმძღვანელოების მიხედვით[2] ზოგადი სურათი ასეთია: სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში ემსახურება მეხსიერების კოლექტიური ხატების ჩამოყალიბებას. ამის გამოა, რომ დისკურსის სტილი უმეტესწილად არის დესკრიფციული. ზოგ შემთხვევაში, მართალია, სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში არის საუბარი ისტორიის დისციპლინის და ისტორიული წყაროების, ისტორიის დამხმარე მეცნიერებების შესახებაც და გაკვეთილების ბოლოში წყაროებიდანაც არის ამონარიდები, მაგრამ ეს ყველაფერი ვერ ცვლის საერთო სურათს: ცოდნა არ მიიღება ანალიტიკურად, არ არის ნაჩეენები თუ წარმოდგენილი სურათი როგორ აღადგინა ავტორმა, როგორი მუშაობა წარიმართა წყაროებზე, რა ეჭვები შეიძლება გაგვიჩნდეს მიღებულ დასკვნებთან დაკავშირებით, და სხვა რა გადაწყვეტა შეიძლება არსებობდეს. არსებული სახელმძღვანელოების უმეტესობა ეს არის არა ქართული მაგალითის მეშვეობით ისტორიის დისციპლინაში მოსწავლის დახელოვნების მცდელობა, არამედ ისტორიის კონკრეტული შემთხვევის თხრობა მხოლოდ. არ არის განსჯა რეპრეზენტაციის სტილის განსხვავებული მოდელების, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების პრობლემატიკის შესახებ, რაც აჩვენებდა მოსწავლეს, რომ ერთიდაიგივე ფაქ-

---

[2] ეროვნული ისტორიაში სახელმძღვანელოების ანალიზისას იქ რაიმე ფაქტის ქონა/არქონაზე ჩვენ მიერ ყურადღების გამახვილება არ უნდა იქნეს აღქმული ავტორთა მიმართ გამოთქმულ კრიტიციზმად. სახელმძღვანელოები ჩვენთვის წარმოადგენს წყაროებს საზოგადოებრივ პერცეფციებზე დასაკვირვებლად. ცალკეული სახელმძღვანელოები არის ტექსტები, რომლებიც, ცხადია, აღბეჭდილია ავტორის (ავტორთა) ინდივიდუალობით, მაგრამ ერთობლიობაში ისინი ამსახველია ზოგადი ტენდენციების. არცთუ იშვიათად ავტორის ინდივიდუალობა შებოჭილია არსებული საგანმანათლებლო სისტემის იმპერატივებით, საისტორიო მეცნიერების ფართოდ გაზიარებული და საყოველთაოდ მიღებული დასკვნებით და მათგან გამომდინარე საზოგადოებრივი მოლოდინებითაც. საკუთარი განსხვავებული აზრის ქონის შემთხვევაშიც კი ზოგჯერ ავტორი თავს ვერ აძლევს უფლებას საკითხი მიღებული თვალსაზრისისაგან განსხვავებულად, ინოვაციურად წარმოადგინოს.

ტი სხვადასხვგვარად შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომ ისტორია როგორც პროცესი და ისტორია, როგორც მეცნიერული ნარატივი, ერთიდაიგივე არაა. წარმოდგენილი ისტორია არის ეთნიკური ქართველების ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სახელმძღვანელოს „საქართველოს ისტორია“ ეწოდება. არც კონფესიური მრავალფეროვნებაა ასახული. ამ პერიოდის წიგნებში წარმოდგენილია ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ მასალა, რაც ადრე არ იყო. მაგრამ ქართველი ერის ფორმირების შესახებ აქ მასალას ვერ ვხდებით. ანუ, ფაქტობრივად, ეთნოგენეზისის და ერის ქმნადობა გაიგივებულია ერთმანეთთან. არ არის ყოველდღიურობის ისტორია, ლოკალური ისტორია. პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არ არის ინტეგრირებულად წარმოდგენლი. არაფერია ისტორიის გენდერულ ასპექტზე ნათქვამი. ამასთან ზოგჯერ შეინიშნება ტენდენციაც ჰეროიკული რეპრეზენტაციისაგან თავის გამიჯვნისა, მაგრამ ეს არ არის მაინც მიმართული იქითკენ, რომ მოხდეს ეროვნული ისტორიის მეშვეობით ისტორიის დისციპლინის უნარჩვევების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, დაუფლება. ეს დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული სახელმძღვანელოს ანალიზს ეფუძნება, ცხადია, საბოლოო მაინც ვერ იქნება. შემდგომი კვლევა ამ სურათს დააზუსტებს, ამჟამად გავლებულ ზოგ ხაზს მოშლის, ზოგს კი უფრო გამოკვეთს. მაგრამ ის მონახაზი, რაც მივიღეთ, სამეცნიერო ინტერესის მქონეა ძირითადი ტენდენციების საჩვენებლად თუ სამომავლო მუშაობისათვის ჰიპოთეზების გამოსაკვეთად.

პროექტის შედეგების სრულად ამსახველი სტატიის გამოქვეყნებას ვაპირებთ საერთაშორისო ჟურნალში, როგორც ეს საგრანტო კონკურსის პირობებით თავიდანვე იყო განსაზღვრული. ამჯერად მკითხველს წარმოვუდგენთ იმ ნაწილს, რომელიც მოცულობის გამო ვერ იქნება საერთაშორისო პუბლიკაციაში. ეს არის საკითხის შესწავლის ისტორიის ამსახველი მასალა. ეს მასალა, რომელთა უმეტესობა ინგლისურ ენაზეა, გვგონია, რომ ეს მასალა უფრო საინტერესო ქარ-

თველი მკითხველისათვის არის, რადგან, ჯერჯერობით ყველა დაინტერესებულ პირს მაინც არ მიუწვდება ხელი ინგლისურ თუ რუსულ ორიგინალებზე. და, ამ მხრივ, ვფიქრობთ, გარკვეული სამსახურის გაწევა ამ ბროშურას შეუძლია.

ქართულ ენაზე ამ საკითხზე შედარებით ცოტა რამ არის გამოქვეყნებული. თავად ქართველი მკვლევრების ნაშრომებიც კი, როგორც ვნახეთ, ხშირად უცხო ენაზეა. სახელმძღვანელოების შესახებ მთელს მსოფლიოში არსებობს მდიდარი ლიტერატურა. ჩვენ არა გვაქვს იმის ამბიცია, რომ შეზღუდული მოცულობის ნაშრომში რამდენადმე მაინც ამოვწურავთ ამ ზღვა მასალას. ერთადერთი, რასაც ამჯერად ვესწრაფით ისაა, რომ მკითხველმა სხვადასხვა რაკურსის მქონე გამოკვლევების გაცნობის შედეგად გააცნობიეროს ეროვნულ ისტორიაში სახელმძღვანელოების სოციალური არსი და აქედან გამომდინარე დაინახოს მათი როგორც პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა.

საგრანტო პროექტში სამუშაო დანაწილებული გვქონდა. სტუდენტები უმეტესად კონკრეტულ სახელმძღვანელოებზე მუშაობდნენ, სპეციალური ინგლისურენოვანი ლიტერატურის ანალიზი კი უფრო ჩემი ამოცანა იყო. თუმც გამოკვლევის საბოლოო ვერსიის შექმნაში ყველამ შევიტანეთ წვლილი და სწორედ ეს ფაქტი აისახება ბროშურის ავტორთა ჩამონათვალში.

მარიამ ჩხარტიშვილი

12 აპრილი, 2016 წელი

თეორიული ჩარჩო

ნაშრომი გვინდა დავიწყო ტერმინის „იდენტობა“ განმარტებით, რომელიც სათაურში მოხსენიებული არაა და ამიტომაც, ერთი შეხედვით, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს წინამდებარე კვლევასთან. სინამდვილეში ამ ტერმინის არსის გაცნობიერების გარეშე წინამდებარე ნაშრომის აქტუალობის გაგება შეუძლებელია. ეს ტერმინი, ფაქტობრივ, გასაღებ სიტყვას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, „იდენტობა“ ლათინური სიტყვაა და „იგივეობას“ ნიშნავს. ამ აზრით დღეს იგი მრავალ ენაში გამოიყენება თარგმანის გარეშე. თანამედროვე ქართულშიც ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ის ამგვარი აზრით არის დამკვიდრებული და გამოიყენება როგორც იგივურობის სინონიმი: იდენტური ანუ იგივური.

მაგრამ ამავე დროს სხვა ენებშიც და ქართულშიც „იდენტობა“ გამოიყენება როგორც სამეცნიერო ტერმინი. ამ აზრით მისი შინაარსი, რა თქმა უნდა, უფრო მეტ სიღრმეს ავლენს: ნიშნავს ცალკეული ინდივიდის მიერ გარკვეული ჯგუფის წევრობის გაცნობიერებას, ანუ გარკვეულ მახასიათებელთა (მარკერთა) საფუძველზე ინდივიდის მიერ ჯგუფთან თავის გაიგივების ფაქტს.

მახასიათებლები ანუ მარკერები სხვადასხვა ტიპისაა, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპისაა მათი გააზრების საფუძველზე წარმოქმნილი ჩვენ-ჯგუფები და ამ ჩვენ-ჯგუფებთან დაკავშირებული იდენტობანიც.

იდენტობა სოციალურ ურთიერთობებს ასახავს წარსულში, აწმყოში და ზოგჯერ მომავლის ურთიერთობებსაც კი მოიცავს. იდენტობის სხვადასხვა ტიპს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკაცობრიო ისტორიის რეპრეზენტაციის თვალსაზრისით არის ის ტიპი, რომელიც ეფუძნება კოლექტივების საზიარო კულტურას. კოლექტიურ-კულტურულ იდენტობებს შორის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაციონალური ანუ ეროვნული იდენტობა, რომე-

ლიც ქმნის იმგვარად მასობრივ და რთული სოციალური შედგენილობის ჩვენ-ჯგუფს, როგორიც ერია.

დღეს ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით ადამიანურ იდენტობათა უმეტესობა (არსებთად, ალბათ ყველა) სოციალურად კონსტრურებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ იდენტობებს, რომლებიც, როგორც ვთქვით, სოციალურ ურთიერთბათა ამსახველია, აქვთ ნარატიული სტრუქტურა. ისინი ეფუძნება გარკვეულ თხრობას ჩვენ-ჯგუფის არსების შესახებ. იდენტობის კოსტრურებული ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება ნაციონალური იდენტობის მაგალითზე. ნაციონალურ იდენტობებს „ემსახურება“ რთული, მრავალსიუჟეტიანი და მრავალფოკუსიანი ნარატივები, რომელნიც წარმოაჩენს ერების რაობას, მათ ეთნიკურ ფესვებს, ერთობათა აწმყოს შესახებ თუ მომავლის ბედზე დისკურსს. ეს ნარატივები გამოკვეთს ეროვნული ჩვენ-ჯგუფების კულტურულ უნიკალობას და გლობალურ მისიას; ისინი ერთობის წევრებს პასუხს აძლევენ ჩვენ-ჯგუფის არსებობისათვის ფუნდამენტურ კითხვებზე: „ვინ ვიყავით?“ „ვინ ვართ?“ „როგორია ჩვენი მომავალი?“[3]

---

[3] როცა ვსაუბრობთ იდენტობათა კონსტრუირებაზე, აუცილებლად მიგვაჩნია დავაზუსტოთ, რომ ნაციების შემთხვევაში ჩვენ ეს გვესმის ეთნოსიმბოლისტური აზრით: ჩვენ ვთვლით, რომ ნაციონალური იდენტობრივი ნარატივი, რომელიც საფუძვლად უდევს ერის მშენებლობის პროცესს, არ არის აბსოლუტურად ვოლუნტარისტული: კულტურული ელიტის მიერ ხდება წარსულის და აწმყოს რეალურად არსებული ფაქტების სელექცია და რეინტერპრეტაცია იმ ეთნიკური მოცემულობის ფარგლებში, რომელიც არის ერის საფუძველი. ანუ ერები ახალია თავისი არსით, მაგრამ არაა ცარიელ ადგილას გაჩენილი, არამედ ძველი მოცემულობიდან ლოგიკურად მომდინარეა. მოდერნისტული გააზრებით კი, როგორც ცნობილია, ეროვნული იდენტობრივი ნარატივი სრულიად ვოლუნტარისული შეიძლება იყოს და აწმყოში არსებულ იდენტობას არ ეგულისხმება მისი წინარე ეთნიკური ექვივალენტი. ეთნოსიმბოლისტური მიდგომის შესახებ იხ. ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედაქტორი რ. ამირეჯიბი–მალენი. თბილისი: ქესც, 2004). ეს მიდგომა ადაპტირებულად არის გადმოცემულია მონოგრაფიებში. იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რე-

იდენტობრივ ნარატივებს ქმნიან ჩვენ-ჯგუფების კულტურული ელიტები. ამ სახის დისკურსი ფიქსირდება სრულიად განსხვაებულ კულტურულ ტექსტებში: მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების და სამუსიკო ხელოვნების ძეგლებში, კულტურულ უნიკუმებსა და ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ არტეფაქტებში.

იდენტობრივი ნარატივები სპეციალური სოციალური არხების და აგენტების საშუალებით ვრცელდება ჩვენ-ჯგუფის არაელიტურ ნაწილში. შედეგი ისაა, რომ წარმოიქნება „წარმოსახვითი ერთობები“[4], რომლის წევრებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ ჰქონდეთ ერთმანეთთან პირადი ნაცნობობა, მტკიცედ აკავშირებთ საზიარო ფასეულობები, სიმბოლოები, მახსოვრობანი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ სახის იდენტობებს აქვთ ზედროული ხასიათი, რამდენადაც ერთობები მოიაზრება დროში განგრძობად ფენომენებად, რომლებიც, ცვლილებათა მიუხედავად, ინარჩუნებენ თვითიგივურობას ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში. შესაბამისად, კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ჩვენ-ჯგუფებს, გარდა რეალური ანუ ცოცხალი წევრებისა, ჰყავთ „ვირტუალური“ წევრებიც: წინაპრები და ჯერარშობილი მომავალი თაობები.

„წარმოსახვითი ერთობების“ შექმნა, როგორც ითქვა, დიდად არის დაკავშირებული კულტურული ელიტის მიერ შემუშავებულ ნარატივთან. გარკვეულ პერიოდში ეს ნარატივი მხოლოდ ელიტის საკუთრებაა და ელიტურ იდეოლოგიას წარმოადგენს. მას შემდეგ რაც ის გავრცელებას იწყებს ჩვენ-ჯგუფის არაელიტურ ნაწილში და

ლიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი: კავკასიური სახლი, 2009. მ.ჩხარტიშვილი, ქ.მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო, თბილისი, უნივერსალი, 2011.

[4] ეს ტერმინი დამკვიდრდა ცნობილი მეცნიერეის ბენედიქტ ანდერსონის ნაშრომის მიხედვით. იხ. B. Anderson, Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism, revised edition, London ,1991.

ეუფლება მის დიდ უმრავლეოსბას, ეს იდეოლოგია გადაიქცევა „დიდ იდენტობადნ ანუ, ჩვენ კონკრტეულ შემთხვევაში, ნაციონალურ იდენტობად: „დიდი იდენტობა არის გარემომცველ სამყაროზე იდეებისა და წარმოდგენების სისტემა, რომლებსაც ადამიანების დიდი ჯგუფი, რომლის წევრების უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობს და, სავარაუდოა, რომ ისინი არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, იზიარებს და აღიქვამს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოქმედებების უპირობო განმსაზღვრელად. როგორც წესი, ეს წარმოდგენები ქმნიან წარმოსახვით საზღვრებს, რომლის იქით მოხვედრილი ადამიანი აღიქმება როგორც უცხო. ეს წარმოსახვითი საზღვარი შეიძლება ემთხვეოდეს გეოგრაფიულს ან პოლიტიკურს, შეიძლება - არა. მაგალითად, ნაციონალიზმი დიდი იდენტობის კლასიკური შემთხვევაა. მაგრამ არა მარტო სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დიდი იდენტობა, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელი და უდანაკარგო გავრცელება/დანერგვა, ანუ, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ მასმედიის და განათლების სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი იდეებისა და წარმოდგენების სისტემა ყოველი მოქალაქისათვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო. როგორ? თუკი მოახდენ ამ იდეების ტრანსლირებას სასკოლო სისტემით (ანუ, დაიწყებ ამ იდეების ჩანერგვას ადამიანების თავებში სკოლაში შესვლის მომენტიდან ანდა უფრო ადრეც) და შემდეგ - გაამყარებ გაზეთებით, რადიოთი და ტელევიზიით. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს რა კონკრეტული შინაარსის ტრანსლირება ხდება მასმედიის საშუალებით; მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა არის ამ შინაარსის კონტექსტი. მაგალითად, საქართველოში ქართველობისა და ქართული სახელმწიფოს იდეის ტრანსლირება და იდენტობის გამყარება ხდება მასმედიის საშუალებით, იმ, ერთი შეხედვით,

მარტივი ფაქტის გამო, რომ მასმედია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჰყვება საქართველოს შესახებ. შესაბამისად, თუკი ახალ დროში რაიმეს წარმოშობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ეს დიდი იდენტობაა, ანუ შესაძლებლობა, იდეების ერთი სისტემა მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის გახდეს შინაგანი, აუცილებელი და პოლიტიკური და სოციალური ქმედებების უპირობიო განმსაზღვრელი. დიდ იდენტობას მთავრობები ან დიდი გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუფები ქმნიან და ავრცელებენ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მთავრობაში ან დიდი გავლენის მქონე ჯგუფებში განსაკუთრებულად ჭკვიანი ადამიანები შედიან, არამედ იმიტომ, რომ დიდი იდენტობის შესაქმნელად აუცილებელი ორივე სისტემა - განათლებისა და მასმედიის ინსტიტუციონალური ფორმები - მათ ხელშია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში დიდი იდენტობის შექმნა შემქმნელების მიერ გაუცნობიერებლად მიმდინარეობს".[5]

როგორც ვხედავთ, იდენტობრივი ნარატივის გავრცელება დიდად არის დამოკიდებული მედია საშუალებებზე. სწორედ მედია--საშუალებებით განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპები, შიდა სოციალური შეჭიდულობის დონეები და ინტესივობა. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი თავის დროზე იყო დამწერლობის გაჩენა, მერე წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება და ბოლოს ბეჭდვის გაჩენა. შიდა-ჯგუფური ბმების ჩამოყალიბებისა და სიმყარისათვის ბეჭდური მედია არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მისი საშუალებით ხდება შესაძლებელი ელიტაში გენერირებული იდეების გავრცელება ჯგუფში.

ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იდეოლოგიის იდენტობად გადაქცევის პროცესში ჰქონდა განათლების სისტემას. ერების შემთხვევაში ეს სისტემა უნიფიცირებულია. ეროვნული სახელმწიფო მეურვეობს ამ სისტემას, რათა მიიღოს შესაბამისად მოტივირებული მოქალაქეები და სოციალურად ჰომოგენური ერთობა:

[5] იხ. გ.თევზაძე. დიდი იდენტობა, სოლიდარობა, 2010 №4(37).

ერები სწორედ სოციალურად ერთგვაროვანი ჩვენ-ჯგუფებია: სოციალური ტიხრები არ უნდა არსებობდეს, წევრებს უნდა თანასწორი პოზიცია ჰქონდეთ, რათა ეროვნული იდეის მიმართ იყვნენ თანაბრად მიმღებნი. ერები საჯარო კულტურის ფორმებია[6] ანუ ისეთი სოციალური ურთიერთობის გამოვლინებანია, როცა კულტურაზე წვდომის თვალსაზრისით ყველა წევრის შესაძლებლობა თანაბარია..

განათლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია სახელმძღვანელოს. სახელმძღვანელოთა შორის კი სახელმძღვანელოებს ეროვნულ ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ერების მშენებლობის პროცესში.

საქმე ისაა, რომ ერების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია კოლექტიური მეხსიერება ერის ეთნიკური ფესვების (რეალურის თუ ფიქტიურის) ხსოვნა. მეხსიერების ხატებს ესაჭიროება დანერგვა და მერე განმტკიცება განმეორებითი პრაქტიკით. ამ ამოცანას ემსახურება სწორედ სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში მიზნად ისახავს არა იმდენად იმის რეპრეზენტირებას, რაც მოხდა სინამდვილეში, არამედ იმის ფიქსირებას, რაც, ერთობის კულტურული ელიტის აზრით, საჭიროა, რომ უმცროს თაობას და, საზოგადოდ, ერთობის წევრებს, ახსოვდეთ. სწორედ ამიტომ, როგორც ეს მართებულად არის მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოები გაცილებით მეტს ამბობენ იმ საზოგადოების თაობაზე, რომელმაც ისინი წარმოშვა, ვიდრე მათში აღწერილი ისტორიული მოვლენების შესახებ.

---

[6] ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, გვ.35 .

სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში: მრავალი გამოცდილება, სხვადასხვა კვლევითი ფოკუსი

ქვემოთ საკითხზე არსებულ სპეციალური ლიტერატურის ნაწილს მოკლედ მიმოვიხილავთ. ნაშრომები დალაგებულია გამოქვეყნების თარიღის მიხედვით. ორიოდე შემთხვევაში ინტერნეტით მოძიებული მასალის თარიღის დადგენა ვერ შევძელით. ამიტომ ასეთი ნაშრომები მოვაქციეთ ბოლოში. განხილული გამკვლევები ეხება სახელმძღვანელოებს ეროვნულ და მსოფლიო ისტორიაში. ეს უკანასკნელნი ჩვენი თვალთახედვის არეში შემოდის იმდენად, რამდენადაც, როგორც წესი, მსოფლიო ისტორიის წარმოჩენა ხდება ეროვნული ისტორიის პრიზმაში გარდატეხილად და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები ასევე ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მათი წარმომშობი გარემოს ეროვნულ პერცეფციებზე და სტერეოტიპებზე, *ჩვენ/ისინი* დიქოტომიის კონცეპტუალიზებასა და, შესაბამისად, თვითიდენტიფიკაციის პროცესის თავისებურებებზე.

Tom Carr. French History Textbooks as a Tool for Teaching Civilization.[7]

ეს გამოკვლევა, ქართველი მკითხველისათვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს არა მარტო მასში დაფიქსირებული ფაქტების კუთხით, არამედ განსაკუთრებით საკითხისადმი მიდგომის თვალსაზრისით.

თავიდან ავტორი აღწერს საფრანგეთის საგანმანათლებლო სივრცეს და იქ მოქმედ სახელმძღვანელოებს. ყურადღებას აჩერებს გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში რენე ჰაბის (René Haby) მიერ გატარებულ რეფორმაზე. ეს რეფორმები გადაიქცა იმის სიმბოლოდ თუ როგორ შესუსტდა საფრანგეთში ისტორიის სწავლება. საქმე ისაა, რომ ისტორიას მიუერთდა გეოგრაფიის და სხვა მეცნიერებების

[7] The French Review, vol. lix, no. 1, October, 1985.

სწავლება და ის აღარ წარმოადგენდა ეროვნული იდენტობის მასწავ-ლებელს, როგორც ეს იყო მესამე რესპუბლიკის დროს, როცა იყენებ-დნენ ერნსტ ლავისის (Ernest Lavisse) სახელმძღვანელოს, რომლის არაერთი გამოცემაა ცნობილი. ჰაბის სახელმძღვანელო ბევრ კრიტი-კას იწვევდა და იწვევს თვით სამთავრობო დონეზეც, მაგრამ, რო-გორც ავტორი მიუთითებს, ეს არაა ახლა მისი კვლევის საგანი, მიუ-ხედავად იმისა, რომ ის ასახავს მნიშვნელოვან ცვლილებას ფრან-გულ ღირებულებათა სისტემაში. ცივილიზაციის შესწავლამ მეტი ადგილი დაიკავა საფრანგეთის საკლასო ოთახებში და საფრანგეთის ისტორია, ცალკე აღებული, შეავიწროვა. ავტორის მთავარი მიზანია აჩვენოს რა სარგებელი შეუძლია მოსწავლეებს მოუტანოს სახელ-მძღვანელოებზე დაკვირვებამ, მათ შინაარსში თუ დიზაინში ცვლი-ლებების დაფიქსირებამ და ანალიზმა. ცივილიზაციის ისტორიის სწავლებისას და ჩამოთვლის იმ ასპექტებს, რომლებზეც დაკვირვება მნიშვნელოვანია. მაგალითად, ასეთად მიაჩნია დაკვირვება იმაზე თუ როგორ იცვლება ინტერეპრეტაციები. ამისათვის მოსწავლეებს მოუწევთ შედარებების გაკეთება და სწორედ ეს დაეხმარება მათ გა-გებაში. შედარება ხომ მოითხოვს იმ კონტექსტის გაცნობიერებასაც, რომელშიც დაიწერა ესა თუ ის სახელმძღვანელო.

ძალიან საინტერესოა ამ კუთხით საკითხი იმის შესახებაც თუ როდის იწყება საფრანგეთის ისტორია. მეთვრამეტე საუკუნის სა-ხელმძღვანელოები ფრანგული ისტორიის დასაწყისს ფრანკი ტომე-ბის მოსვლას უკავშირდებდნენ. „ჩვენი წინაპრები იყვნენ გალები“ – ეს მეცხრამეტე საუკუნის ინოვაციაა. უკანასკნელი პერიოდის დაწყე-ბითი სკოლების სახელმძღვანელოებში კი ეს დასაწყისი დაკავშირე-ბულია უძველეს ქვის იარაღებთან. მნიშვნელოვანია დაკვირვება პერსპექტივაზეც. არის ეს მარტო მამაკაცების, არისტოკრატების, ბურჟუაზიის და ა.შ. ისტორია თუ მთელი საზოგადოების. აქ განსა-კუთრებული ყურადღება შეიძლება მიექცეს ქალთა საკითხს. აგრეთ-ვე იმის გარკვევას თუ რამდენად არის გაიგივებული საფრანგეთის ისტორია პარიზის ისტორიას.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შედარებისას უნდა მიექცეს ყურადღება, ავტორის აზრით, არის მიზეზების მოძიებისას სახელმძღვანელოთა ავტორების პოზიცია: რა მოტივები და ფაქტები იწვევენ მოვლენებს: დიდი ადამიანები, იდეები, გარემო ფაქტორები, ეკონომიკური ფაქტორები, კლასობრივი ბრძოლები, ინტერვენციები?

მნიშვნელოვანია დაკვირვება განსჯაზეც. როგორ წარმოადგენს განსჯას სახელმძღვანელოს ავტორი, თუ საერთოდაც მალავს მას? ადრეულ სახელმძღვანელოებში იყო მორალური სენტენციები, ახლა ამის ნახვა ძნელია. ავტორები ცდილობენ დოკუმენტების და მონაცემების საგანგებო შერჩევის გზით თავად ალაპარაკონ ფაქტები. თუმც ისტორიკოსები მაინც იშვიათად უძლებენ ცდუნებას არ გამოვიდნენ წარსულის მოსამართლის როლში. ამ მხარეზე დაკვირვებაც შეიძლება გახდეს მოსწავლეთა დაკვირვების საგანი.

საინტერესოა ინტერეპრეტაციაც. არის თანამედროვე ისტორიკოსთა ინტერეპრეტაციები წარმოდგენილი? ფაქტის თანამედროვეთა შეხედულებები? თუ ენიჭება წარსულს რეპრეზენტაციას, როგორც კულტურის ფაქტს, მნიშვნელობა? როგორაა წარმოდგენილი სხვა ქვეყნები, მაგალითად, აშშ ან თავად საფრაანგეთი აშშ-ს ისტორიის სახელმძღვანელოებში?

მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია დაკვირვებას სხვადასხვა ეპოქის სახელმძღვანელოების ინტელექტუალურ სტილზე და მეთოდზე, თავების დიზაინზე. საგანმანთლებლო სისტემის დახასიათებას და სახელმძღვანელოს მასთან მიმართებას.

საბოლოო დასკვნაში ხაზგასმულია, რომ სახლმძღვანელოების კვლევის შედეგების წარმოდგენა მოსწავლეებისათვის ძალიან გამოსადეგია ცივილიზაციის შესწავლისათვის.

Nation-Building and Contested Identities: Romanian and Hungarian Case Studies Edited by: Balázs Trencsényi, Drago Petrescu, Cristina Petrescu, Constantin Iordachi and Zoltán Kántor. [8]

ჩვენ ვიხილავთ ამ კოლექტიური მონოგრაფიის ერთ თავს, რომელიც ეხება უშუალოდ სახელმძღვანელოებს: Răzvan Pârâianu. National Prejudices, Mass Media and History Textbooks: The Mitu Controversy.

ნაშრომი იწყება შესავლით, კერძოდ, იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილებით, რომ პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის საზოგადოებრივი აზრი მიესალმა იმპერიული რეჟიმების მსხვერვასა და ერი-სახელმწიფოების წარმოშობას აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში და ლიბერალიზმის ტრიუმფს. მაგრამ მალე მოვიდა იმედგაცრუება, რადგან თითქმის ყველა ახლადშექმნილი სახელმწიფო აღმოჩნდა ნაკლებად ლიბერალური. არავინ ელოდა, რომ ამ ქვეყნების ახალი ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც ასე გმირულად უპირისპირდებოდა არისტოკრატიას, იქნებოდა ასე ნაკლებად ლიბერალური. ამგვარი ვითარება ევროკავშირის მოთხოვნები, რომ შესუსტებულიყო სახელმწიფო ცენტრალიზმი, ეროვნული ჰომოგენიზაცია, ნაციონალიზმზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით, უმეტეს შემთხვევაში განიხილებოდა, როგორც ჩარევა გარეშეთა მხრიდან.

მერე სტატიაში აღწერილია სკანდალი, რომელიც მოჰყვა რუმინეთში ერთ-ერთი სახელმძღვანელოს გამოქვეყენებას. ეს მოხდა 1999 წელს. მთელი საზოგადოება ჩაერთო განხილვაში. და თუნდაც ეს ფაქტი ავტორს მიაჩნია მისი სტატიის გამართლებდაც. საზოგადოება ფოკუსირებული იყო ეროვნული ისტორიის საკითხებზე. ამ კომენტარების ერთობლიობაში განხილვა წარმოაჩენს რუმინეთის კულტურულ ლანდშაფტს, რომელშიც ყოველ ინდივიდს ჰქონდა თავისი საკუთარი პოზიცია. ამ სტატიის წინასწარი დაშვება ისაა, რომ ისტორიის სწავლების რადიკალური რეფორმა არის მტკივნეუ-

[8] Regio Books (Budapest) Editura Polirom, 2001.

ლი და ძალიან საჭირბოროტო თუ არ შეიცვალა მასთან ერთად არსებითად კულტურაცა და საზოგადოებრივი აზრიც.

ავტორი აჩვენებს როგორ იყვნენ ჩართული ამ ცხარე პოლემიკაში პოლიტიკოსები, ჟურნალისტები რეჟისორები. ზოგი მოითხოვდა მიტუს სახელმძღვანელოს დაწვასაც კი, რომელიც შეეცადა დაენგრია ეთნო-ნაციონალისტური „ვულგატა“. საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, მაგალითად, სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავის სათაურმა: „ეთნოგენეზისი: როგორ წარმოიდგენენ რუმინელები თავიანთ წარმოშობას?ნ საზოგადოება აღშფოთებული იყო იმით, რომ წარმოდგენას როგორ უნდა ჩაენცვლებინა რეალური წარმოშობა, აღშფოთება გამოუწვევია ერთი რუმინიელი მეფის აღწერასაც. წიგნში ყოფილა ამ მეფის სკულპტურული გამოსახულების ილუსტრაცია. ამ ილუსტრაციისადმი მიძღვნილ ტექსტში ეწერა: „რომაელ ხელოვანს სურდა ხაზი გაესვა ამ თავდადებული პირივნების თვალებისათვის, მისი დახვეწილი, მაგრამ მაინც ენერგიულობის გამომხატველი ცხვირისათვის, მისი ამობურცული ლოყების, ისევე როგორც მგრძნობიარე ტუჩებისათვის. ამგვარად ეს პორტრეტი აერთიანებს კეთლშობილებას და მტკიცე ხასიათს, იმ თვისებებს, რომელთაც რომაელები მიაწერდნენ დეცებალს.“

როგორც ვხედავთ, აღწერა მთლიანობაში სულაც არ იყო შეურაცხმყოფელი, მაგრამ აღშფოთება გამოიწვია დეტალმა ანუ „მგრძნობიარე ტუჩებმა.“ საქმე ისაა, რომ დაკიის მეფე დეცებალი და ტრაიანე, რომაელი იმპერატორი, რომელმაც დაიპყრო დაკია, წარმოდგენილ იყვნენ, როგორც რუმინელების ეთნოგენეზისის სიმბოლო კომუნისტური ეპოქის უკანასკნელ დეკადაში. ნაციონალიზმა ამ ეპოქაში პიკს მიაღწია. ერი-სახელმწიფოს დროსაც ეს გაგრძელდა, რადგან ნაციონალიზმი არის ტოტალური კონტროლის ინსტრუმენტი. მიუთითებდნენ, რომ რუმინეთი კრიზისშია და ამგვარი ისტორიულ რეპრეზენტაციის შედეგად შიდა ერთიანობა შეიძლება დაკარგოს. ამ ბანაკის სლოგანი, ავტორის აზრით, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ერთი სახელმწიფო, ერთი ისტორიან. მიუთითებ-

დნენ, რომ ევროპა ებრძვის რუმინეთს. ჰომო ევროპელი, საზოგადოების ამ ნაწილის აზრით, ეს არის ადამიანი, რომელსაც არა აქვს ეროვნული ღირებულებები. ტრიადის – სახელმწიფო, არმია, ეკლესია – გარეშე ერი დაიღუპება. ნაციონალიზმის დაკარგვა მსოფლიოსათვისაც საშიშია. ნაკლებად ნაციონალური ევროპა, არის ნაკლებად დემოკრატიულიც, რადგან ნაცია ნიშნავს ხალხს და ა.შ.

ეს დებატები ერთი სახელმძღვანელოს შესახებ აჩვენებს იმ დიდ მანძილს, რომელიც არსებობს ახალი თაობის ისტორიკოსებსა და ეთნონაციონალურ „ვულგატას“ შორის.

Keith Crawford. Culture Wars: Serbian History Textbooks and the Construction of National Identity.[9]

სტატია იკვლევს ნაციონალური იდენტობის ახალ ფორმას, რომელიც ჩამოყალიბდა სერბეთში და მონტენეგროში არსებული ახალი კურიკულუმის მიხედვით.

ნაშრომი იწყება შესავლით, რომელშიც განმარტებულია ამოსავალი თეორიული დაშვებები. კერძოდ, ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობა ერისათვის, რომ წარსულის ინტერპრეტაციები აჩვენებს იმას თუ როგორ უნდა, რომ ჩვენ-ჯგუფმა დაინახოს თავის თავი და როგორ უნდა, რომ მას ხედავდნენ სხვები. მერე აღწერს შექმნილ ისტორიულ ვითარებას, სერბეთის საგანმანათლებლო სისტემას, სახელმძღვანელობის შერჩევის შესახებ პარაგრაფი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოები არის არა მარტო კულტურული საქონელი, არამედ ეკონომიკურიც, რომლებიც იწარმოება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გავლენით წარმოშობილ სპეციალურ სტრუქტურულ სისტემაში. სერბეთში არ არის ღია ბაზარი სახელმძღვანელოებისათვის, არამედ ნაციონალიზებული და სტანდარტიზებულია. კურიკულუმს ადგენს სერბეთის განათლების სამინისტროს სპეციალური საბჭო, მასწავლებლებს ძალიან ცოტა როლი აქვთ გადაწყვეტილებე-

[9] The International Journal International Journal of Historical Learning Teaching and Research, volume 3, no 2 July, 2003.

ბის მიღებაში. ავტორებსაც საკითხების სპეციალური სია მიეწოდებათ, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოაყალიბონ სახელმძღვანელოს შინაარსი. შედეგი ისაა, რომ მიიღება სისტემა, რომელშიც არადექვატური ხარისხის სახელმძღვანელოების და სახელმძღვანელოს არჩევანის თავისუფლება შეზღუდულია, არსებობს მონოპოლია გამოცემლობაზე და საგამომცემლო პოლიტიკაზე. ტრადიციულად პროფესიონალი ისტორიკოსები წერენ. ადრე საგანგებოდ შეირჩეოდნენ და ისინი ქმნიდნენ ტექსტებს, რომლებიც უსათუოდ გაბატონებული იდეოლოგიის შესატყვისი იყო. ახლა ეს იცვლება და პრაქტიკოსი მასწავლებლები მოწვეულ არიან ხოლმე ავტორთა შორის.

მკვლევარი აჩვენებს თუ როგორ იცვლება სახელმძღვანელეობის შინაარსი კონკრეტული მოვლენების განვითარების კვალობაზე, სპეციალური პარაგარაფი ეძღვნება ოფიციალური ისტორიის შექმნას მილოშევიჩის წლებში. მიზანი იყო დიდი სერბეთის შექმნა. დაიწყეს სერბეთის კონცეპტუალიზაცია, როგორც ბასტიონისა, რომელიც იდგა ევროპის მუსლიმებისაგან დასაცავად. ისტორიულმა დისკურსმა კოლექტივისტური ხასიათი მიიღო და მცირე ადგილს ტოვებდა ინდივიდისათვის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისათვის. სახელმძღვანელოებს ახასიათებდათ ანტიპათია „სხვებისადმი“, რომლებიც ხელს უშლიდნენ ერის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ძველი ნეგატიური დამოკიდებულებანი არასლავებისადმი დანარჩუნდა და ზოგი ახალიც დაემატა. კულტივირდებოდა იდეა, რომ თავისუფლება არის საბოლოო მიზანი და არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ფასად მოიპოვება ის.

ცალკე პარგარაფში განიხილება ხორვატთა ეროვნული მახსოვრობის საკითხი.

დასკვნაში ავტორი მიუთითებს, რომ მილოშევიჩის პერიოდის ქსენოფობიური ნაციონალიზმი თანდათან წარსულს ბარდება, მაგრამ ეროვნული გმირების თავგანწირვა არის იდენტობის გულისგულში. ზოგჯერ საკითხებზე დუმილს ამჯობინებენ. და საერთოდ არაა მოყვანილი ისეთი ფაქტები, რომელიც შეიძლება წარმოდგენი-

ლი ნარატივის საწინააღმდეგო იყოს. სახელმწიფოს კონტროლი კვლავ მძლავრია და უზრუნველყოფს ერთგვაროვანი ინფორმაციის გავრცელებას სახელმძღვანელეობის გზით.

ამ ნაშრომშიც ბევრი საინტერესო გამოკვლევაა დამოწმებული[10]

Keith Crowford. Re-visiting Hirosima: The Role of US and Japanese History Textbooks in Constraction of National Memory. [11]

ნაშრომი ეფუძნება იმ პერსპექტივას, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები გადამწყვეტი ორგანოა ლეგიტიმიზებული იდეოლოგიების და რწმენების წარმოქმნის პროცესში და ასახავს საზოგადოების გაბატონებული ჯგუფების ღირებულებებს. ეს დაშვება ნაშრომში შესწავლილია იმ სტილის კვლევით, რომლითაც აშშ-სა და იაპონიაში რჩეული სახელმძღვანელოები იწვევს მოსწავლეებს შეიმეცნონ ჰიროსიმაში ბომბის ჩამოგდების ფაქტი. ავტორი აკავშირებს რეალურ ნარატივს ისტორიულ ანალიზთან. სტატია იძლევა მონაცემს, რომელიც მიუთითებს, რომ ამერიკული და იაპონური სახელმძღვანელოები გვაწვდის წარსულის ისეთ ხედვას, რომელიც პატრიოტიზმისა და ერთიანობის იდეების მიწოდების დროს ამცირებს კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობას.

ავტორი იმოწმებს მკვლევარ ეფლის აზრს იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელოები შექმნილია რეალური ადამიანების მიერ რეალური ინტერესებით. ერთი გზა სახელმძღვანელოების ხედვისა, არის ის, რომ ისინი წარმოადგენს არა სიმართლის აღმწერ, არამედ სიმართლეზე და ცოდნის მიცემაზე მხოლოდ პრეტენზიის მქონე ტექსტებს. ავტორი იზიარებს აზრს, რომლის მიხედვითაც სახელმძღვანელოების მეშვეობით იმდენად ჭეშმარიტების მიწოდება კი არ ხდება, არამედ განათლების სისტემა საუბრობს თავის თავზე. ცუდია

---

[10] T.K. Cerovic. Democracy in Education Education for Democracy, Belgrade, 1997. Z.Janjetovic. (2001) National Minorities and non-Slav Neighbours in Serbian Textbooks. In: Internationale Schulbuchforschung, vol.23, no. 2, 13-26; D. Stojanovic, The Balkan, Wars and Textbooks Belgrade, Association for Social History,1999. D.Ugresic. The Culture of Lies London, Weidenfeld and Nicolson, 1998.

[11] Asia Pacific Education Review, 2003, vol. 4, no 1, 108-117.

თუ კარგი სახელმძღვანელოები საზოგადოების მიერ მიიჩნევა ავტორიტეტულად, სწორად და საჭიროდ. ავტორი, მაგალითად, იმოწმებს ფოსტერის აზრს იმის შესახებ, რომ აშშ სახელმძღვანელოები ეროვნულ ისტორიაში ავლენენ ტენდენციას ახალგაზრდებში ერთობისა და პატრიოტიზმის და წარსულის მემკვიდრეობის თაყვანცემის გრძნობები აღზარდონ. სახელმძღვანელოს შერჩევა აშშ-ში არის პოლიტიზებული პროცესი. მათ წერენ უნივერსიტეტების პროფესორები, მაგრამ განხილვაში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ფართო წრეები.

იაპონიაში სახელმძღვანელოები ნახევრად ოფიციალური დოკუმენტებია. დაწერის წესებს იმუშავებს განათლების სამინისტრო. იაპონია თავისი ნაციონალური მითებითა და ნარატივებით ნამდვილად „წარმოსახვითი საზოგადოებაა“.

საბოლოო დასკვნა ისაა, რომ ორივე ქვეყნის მოწაფეები ცუდად არიან ინფორმირებულნი ჰიროსიმას დაბომბვასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ.

ამ სტატიაშიც ბევრი საინტერესო ნაშრომია დამოწმებული.[12]

Barbara M. Wenzeler. The Presentation of the Holocaust in German and English School History Textbooks – A Comparative Study. [13]

ეს სტატია მიზნად ისახავს ერთმანეთს შეადაროს გერმანული და ინგლისური სახელმძღვანელოები ჰოლოკოსტის ისტორიის რეპრეზენტირების საკითხში.

---

[12] P. G Altbach et al. Textbooks in American Society, New York. State University Press, 1991; Foster. The struggle for American Identity: Treatment of Ethnic Groups in United States History Textbooks. Paper presented at International Association of Children's Social and Economics Education conference, Atlanta, Georgia, 1999, July; T. Horio. Educational Thought and Ideology in Modern Japan: State Authority and Intellectual freedom (S. Plantzer, Translated ed.). Tokyo: University of Tokyo Press, 1988; F.Huyette (1995). The Politics of Textbook Selection in California. Internationale Schulbuchforschung, des Georg-Eckert Institute fur Internationale Schulbuchforschung, 17, 130-133. R. Usher & R.Edwards, Postmodernism and Education. London: Routledge,1994; L. J. Schoppa. Education reform in Japan. London, Routledge,1993.

[13] The International Journal of Historical Learning Teaching and Research, vol. 3, no 2 July 2003.

ნაშრომი იწყება თეორიული დისკურსით, კერძოდ, მითითებულია, რომ ჰოლოკოსტზე მსჯელობა არა მარტო მოსწავლის მიერ წარსულის გაგებას უწყობს ხელს, არამედ ემსახურება მისი აზრის ჩამოყალიბებას აწმყოსა და მომავლის შესახებ. მოწაფემ უნდა გააცნობიეროს, რომ თუკი ჰოლოკოსტი მოხდა ერთხელ, ის შეიძლება განმეორდეს. მოსწავლეებს ასწავლიან, რომ უნდა ჰქონდეთ კრიტიკული მიდგომა, მაგრამ ამავე დროს მოსწავლეს მთლიანად აყალიბებს სახელმძღვანელოს ავტორიტეტი. უსაზღვრო ძალა აქვთ სახლემძღვანელოებს მოსწავლის აზროვნებაზე და გაგებაზე. ავტორი იმოწმებს პინგელს, რომელიც მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოები სოციალურ მეცნიერებებში მოსწავლეს ასწავლის განასხვაოს ერთმანეთისაგან *ჩვენ* და *სხვები.*[14] ეს ნიშნავს, რომ სწორედ სახელმძღვანელო გამოკვეთს იდენტობრივ საზღვარს, რადგან ეს კონცეპტები ეფუძნება შესაბამისი საზოგადოებების მორალურ ღირებულებებს და ნორმებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტებთან ერთად სახელმძღვანელოები მოსწავლეებს გადასცემს საერთოდ საზოგადოების და პოლიტიკოსების იდეოლოგიას და ღირებულებებს იმისთვის, რომ განვითარდეს და ჩამოყალიბდეს იდენტობა.[15] ეს ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩანან ასე ობიექტურნი და სიმართლის მთქმელნი, სინამდვილეში არიან მხოლოდ სიმართლეზე პრეტენზიის მქონენი.

შედარებისას ავტორი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ დახასიათებებს. მაგალითად, როცა არკვევს რომელიმე ფაქ-

---

[14]F. Pingel., Falk Pingel reports on his work at the German Institute for International Textbooks Research,1998,http://www.civnet.org/journal/issue6/mefpin.htm

[15] J.Anyon, Workers, Labour and Economic History, and Textbook Content. In: M. Apple and L.Weis (eds). Ideology and Practice in Schooling Philadelphia, 1983, Temple University Press; K. Crawford. Researching the Ideological and Political Role of the HistoryTextbook - Issues and Methods. In: International Journal of History Learning, Teaching and Research, 2000, vol. 1, no 1, pp 81-91.; J.Van der Leeuw-Rood, Working with History: National Identity as a Focal Point n European History Education. In: International Journal of History Learning, Teaching and Research, 2000, vol. 1, no 1, pp 111-120.

ტის მნიშვნელობას სახელმძღვანელოს ავტორებისათვის, უკვირდება ილუსტრაციების რაოდენობას, დათმობილი გაკვეთილების რაოდენობას. გამოურკვევია, რომ გაკვეთილების მიხედვით ორივე ქვეყანა თითქმის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს. მაგრამ ინგლისური სახელმძღვანელოები იმ იდეას ემხრობიან, რომ მთავარი დამნაშავე ჰოლოკოსტში იყო ნაცისტური პარტია და არა გერმანელი ხალხი. ამავე დროს ინგლისელები ძალიან მშვიდობისმოყვარედ წარმოაჩენენ საკუთარ თავს.

ასეთი პოზიცია არის გერმანიაშიც და სხვა ქვეყნებშიც, თუმც გერმანიაში არსებობს სხვა მტკიცებულებაც, რომ ანტი-სემიტიზმი ჩანერგილია თავად გერმანულ საზოგადოებაში. როგორც ითქვა, ინგლისურ სახელმძღვანელოებში ორი სიტყვით არის ჩვეულებრივი გერმანელების ჩართულობა ჰოლოკოსტში და ნაცისტებია დადანაშაულებული, გერმანულ სახელმძღვანელობში კი საკუთარი ნაციის კრიტიკა ფართოდ არის მოცემული, რათა მოსწავლემ იგრძნოს პასუხისმგებლობა ამ ფაქტის გამო.

ეს ნაშრომიც ბევრ საინტერესო გამოკვლევას ეყრდნობა, რომელიც საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის.[16]

J.G. Janmaat, History and National Identity Construction: The Great Famine in Irish and Ukrainian History Textbooks. [17]

---

[16] M.Apple and L.Weis (eds). Ideology and Practice in Schooling Philadelphia, Temple University Press. M.Apple & L.Christian-Smith. The Politics of the Textbook. In: M.Apple, & L.Christian Smith (eds). The Politics of the Textbook, New York, Routledge,1991; D.J. Goldhagen. Hitler's Willing Executioners: Ordinary Germans and the Holocaust. New York, Knopf, 1996; T.Haydn. Teaching the Holocaust through History. In: I.Davies (ed) Teaching the Holocaust, London, Continuum,2000; J.Nicholls & S. Foster, Portrayal of the Soviet Role in World War II, unpublished paper, School Textbooks and Educational Media Conference, Ormskirk, England, June 2003; D.R. Olsen., On the Language and Authority of Textbooks. In: S. DeCastell, A.Luke & C.Luke (eds) Language, Authority and Criticism London, Falmer Press, 1989; F. Pingel. UNESCO Guidebook on Textbook Research and Textbook Revision,Hannover, Verlag Hahnsche Buchhandlung, 1999; H.F. Rathenow, Teaching the Holocaust in Germany. In: I.Davies (ed). Teaching the Holocaust – Educational Dimensions, Principles and Practice London, Continuum, 2000, pp 63-76.

[17] History of Education, 2006, 35, 3, 345-368.

სტატია ადარებს შიმშილობის ფაქტის რეპრეზენტაციას ირლანდიურ და უკრაინულ სახელმძღვანელოებში და იკვლევს თუ რამდენადაა ეს ნარატივები შეფერილი ნაციონალისტური დისკურსით. ავტორი განიხილავს სამ თეორიას ეროვნული ისტორიოგრაფიის განვითარების კავშირისა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან, სახელმწიფოებრივ სიმწიფესთან და ავტორიტარიზმს ბოლოდროინდელ ისტორიასთან და ცდილობს გაარკვიოს თუ რამდენად არის ეს ორი შემთხვევის რეპრეზენტირება დაკავშირებული შესაბამის პარადიგმებთან. ავტორი აჩვენებს, რომ ირლანდიურ სინამდვილეში ეს რეპრეზენტაცია ცვლილებას განცდის: ნაციონალური პამფლეტიდან ის გადაიქცა უფრო ბალანსირებულ თხრობად და ეს გადასხვაფერება მოიტანა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში სოციალურმა ტრანსფორმაციამ. უკრაინის შემთხვევაში იმ მოვლენების შერჩევისა და ინტერპრეტაციის ვარიაციების რაოდენობა, რომელთანაც ასოცირდება შიმშილობა, დიდია: ზოგი სახელმძღვანელო ამ ფაქტს იაზრებს ნაციონალისტურ კონტექსტში, ზოგს კი თხრობის უფრო გაწონასწორებული ინტონაცია აქვს აღებული. ირლანდიური ნარატივების განვითარების ტრაექტორია უფრო იმ თეორიას უჭერს მხარს, რომელიც პოლიტიზებულ ისტორიოგრაფიას აკავშირებს სახელმწიფოს ეპოქასთან და დემოკრატიის კონსოლიდებასთან. თუმცაღა უკრაინის მაგალითის მრავალფეროვნება საძნელოს ხდის შევუთანხმოთ ისინი იმ თეორიებს, რომლებიც ნაციონალისტურ ისტორიოგრაფიას აკავშირებს უფრო ფართო სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტთან.

ამ სტატიაში არაერთი საინტერესო გამოკვლევაა დამოწმებული.[18]

---

[18] Nancy Popson. The Ukrainian History Textbook: Introducing Children to the Ukrainian Nation, Nationalities Papers 29 ,2001, 325-350; Jan Germen Janmaat. Identity Construction and Education: The History of Ukraine in Soviet and Post-Soviet Schoolbooks. In: Dilemmas of State-Led Nation Building in Ukraine, edited by T. Kuzio and P. D"Anieri, London, Praeger, 2002; Brian J Mulcahy. A Study of the Relationship between Ireland and England as Portrayed in Irish Post Primary School

Jan Germen Janmaat, The Ethnic „Other" in Ukrainian History Textbooks: the Case of Russia and the Russians. [19]

სტატია იკვლევს რუსების, რომლებიც უკრიანელებისთვის მთავარ ეთნიკურ „სხვას" წარმოადგენენ, და რუსეთის პორტრეტებს ორი თაობის უკრაინულ ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით. ამ ორი თაობის სახელმძღვანელოებს შორის. განსხვავება მნიშვნელოვანია. თავიდან რუსების შეფასება ისეთია, როგორც უცხოელი დამპყრობლის. აშკარაა, ეს საჭიროა ნაციის მშენებლობის პროცესისათვის. თუმც ბოლოდროინდელი განვითარება აჩვენებს, რომ ისტორიის განათლებაში პატრიოტიზმი, როგორც მიზანი, თანდათან სუსტდება.

ნაშრომი იწყება შესავლით, რომელშიც ეროვნული კონსოლიდაციის მნიშვნელობაა განმარტებული ერი-სახელმწიფოებისათვის და ამ პროცესში კი განათლების როლია ხაზგასმული. მაგრამ, ავტორის მითითებით, აქამდე უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ენის, ლიტერატურის, ტერიტორიული ავტონომიის საკითხების სწავლებას და შედარებით ნაკლები ისტორიას. მაშინ, როცა ეროვნული ისტორიის სწავლებით სახელმწიფო ცდილობს ეროვნულ იდენტობას ფესვები მოუძებნოს წარსულში და ამ გზით მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული ავტონომიის ლეგიტიმიზება. არსებობს ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ისტორიის სწავლების, როგორც ნაციონალიზაციის პროცესში განსაკუთრებული აგენტის, საკითხს.[20] მაგრამ, მიუთითებს ავტორი, ამ გამოკვლევებში მიღებული შედეგები არ არის დაკავშირებული თეორიასთან და ნაციონა-

---

HistoryText Books, Published Since 1922, and Dealing with the Period 1800 to the Present. Ph.D.diss. University of Hull, 1988.

[19] Compare, vol. 37, no. 3, June 2007, pp. 307-324.

[20] L.Hein and M. Selden (eds.) Censoring History: Citizenship and Memory. In: Japan, Germany, and the United States. New York, 2000; C.Koulouri. Introduction: The Tyranny of History. In: C. Koulouri (ed.) Teaching the History of South-Eastern Europe. Thessaloniki: Center for Democracy and Reconciliation in Southeast Europe, 2001; E. Vickers and A. Jones (eds.) History Education and National Identity in East Asia. London, Routledge, 2005.

ლიზმის და ეთნიკური კონფლიქტების საკითხებთან. ეს ნაშრომი სწორედ ზემოთ იდენტიფიცირებული ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად.

ისტორიული განათლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ეთნიკური „სხვების“ შესახებ აზრი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის მითითებული, სახელმწიფოები, რომელნიც ახორციელებენ ნაციონალიზმის პროგრამას, ჩვეულებრივ ეთნიკურ „სხვებს“ ნეგატიურად აშუქებენ. როცა რაიმე ცუდი აქვთ გაკეთებული ეთნიკურ უმცირესობებს, ეს ფაქტები წინაა წამოწეული, კარგი, პირიქით, ჩრდილშია მოქცეული.[21] ასე იკვეთება საზღვრები ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ეთნიკური სტერეოტიპები ყველანაირი მედიის არსობრივი თვისებაა, მათ შორის, სახელმძღვანელოებისაც. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ნაციონალიზაციის პროცესს ახასიათებს საკუთარი ერის, როგორც მსხვერპლის, წარმოჩენა. ასე მაგალითად, არაბები და ბერძნები თავს თურქების მსხვერპლად მიიჩნევენ, ჩეხები – ავსტრიელებისა და გერმანელების, სლოვაკები და რუმინელები – უნგრელების, პოლონელები, ბალტიის ქვეყნები და უკრაინელები – რუსების.

ავტორი განიხილავს იმ უკრაინულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დაშვებულ იქნა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ. რუსეთის სახელმწიფო ან საბჭოთა კავშირი ან რუსები განიხილება როგორც უცხო მმართველი ან როგორც უცხო ეთნოსი. ავტორი სვამს შემდეგ კითხვებს: არიან თუ არა ეთნიკური „სხვები“ დადებითად დახატული; როგორ არის ნაჩვენები იმათი მოტივაციები, ის, რომ ყოველთვის იყოს უარყოფითი? როგორაა თავიდანვე რუსები წარმოსახული, უსათუოდ უკრაინელების მტრები? როგორია ამ რეპრეზენტაციების ენა. ანუ ეს რეპრეზნეტაცია თუ ძლიერდება უარყოფითი ენის მეშვებითაც.

---

[21] C.Carras. „Preface“. In C. Koulouri (ed.) Teaching the History of South-Eastern Europe. Thessaloniki: Center for Democracy and Reconciliation in Southeast Europe, 2001.

ორი თაობის სახელმძღვანელოების 5-5 წიგნი აქვს განხილული. ეს წიგნები უკრაინის განათლების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული ანუ საბჭოთა ცენტრალიზებული მართვის პრაქტიკა გრძელდება.

საბოლოო სურათი ისაა, რომ რუსების არცერთი ქმედება არაა უკრაინელთა კეთილდღეობისათვის. ყველა ქმედების მიზანია, რომ რუსებმა უკრაინაში თავიანთი ძალაუფლება განამტკიცონ და არაფერი კარგი არ სურთ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისათვის, თუმც სახელმძღვანელოთა ავტორები არ უარყოფენ იმას, რომ იყო შედარებით ლიბერალური მართვის პერიოდებიც.

ავტორის კომენტარი ამასთან დაკავშირებით შემდეგია: რა თქმა უნდა, არც ცარისტული რუსეთი, არც საბჭოთა კავშირი არ იყო დემოკრატიული სახელმწიფოები, მაგრამ მათი ისე ნეგატიურად წარმოსახვა, როგორადაც ეს განხილულ სახელმძღვანელოებშია, ემსახურება არა ისტორიული რეპრეზენტაციის, არამედ უკრაინის დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციის მიზანს.

სტატიაში დამოწმებულია არაერთი საინტერესო გამოკვლევა.[22]

---

[22] V. L. Antoniou and Y. N. Soysal. Nation and the Other in Greek and Turkish History Textbooks. In: H. Schissler and Y. N. Soysal (eds.). The Nation, Europe and the World: Textbooks and Curricula in Transition, New York and Oxford, Berghahn Books, 2005;V. R., Berghahn and H. Schissler. Introduction: History Textbooks and Perceptions of the Past. In: V. R. Berghahn and H. Schissler (eds.). Perceptions of History: International Textbook Research on Britain, Germany and the United States,Oxford, Berg, 1987; J.G. Janmaat, History and National Identity Construction: The Great Famine in Irish and Ukrainian History Textbooks, History of Education, 2006, 35, 3, 345-368; S.Koren. Minorities in Croatian History and Geography Textbooks, International Textbook Research , 2001, 23, 183-200; Y. N. Soysal, T. Bertilotti and S. Mannitz. Projections of Identity in French and German History and Civics Textbooks. In: H. Schissler and Y. N. Soysal (eds.). The Nation, Europe and the World: Textbooks and Curricula in Transition. New York and Oxford: Berghahn Books, 2005; Y. N. Soysal and H. Schissler. Introduction: Teaching beyond the National Narrative. In: H. Schissler and Y. N. Soysal (eds.). The Nation, Europe and the World: Textbooks and Curricula in Transition. New York and Oxford, Berghahn Books, 2005; P.Verbytska. School History Education for the Development of Democracy in Ukraine. In M. Roberts (ed.). After the Wall: History Teaching in Europe since 1989, Hamburg: Koerber Stiftung, 2004.

Sylvie Guichard. The Constriction of History and Nationalism in India. Textbooks, Conroversies and Politics,[23]

ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას. მისი ავტორი არის ჟენევის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი. მკვლევარი იწყებს იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ერებისა და ნაციონალიზმის ფენომენების შემსწავლელი მეცნიერები ყოველთვის საუბრობენ ერების მშენებლობის პროცესისათვის კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობაზე, რომელიც აერთიანებს ჩვენ-ჯგუფს. მაგრამ აქვე იგი მიუთითებს იმ ფაქტზეც, რომ საინტერესოა რა ხდება მაშინ, როცა ეს მეხსიერება სულაც არ არის საზიარო და როცა ერის რეპერზენტაცია ხდება რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ნარატივით. ასეთია სწორედ ინდოეთის შემთხვევა. და ამ ფაქტს განაპირობებს ის თავისებური ვითარება, რომელიც არის ინდოეთში საზოგადოების სოციალურ და კულტურული თუ რელიგიური არაერთგვაროვანი შემადგენლობის თვალსაზრისით.

ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან. ერთვის შენიშვნები, ვრცელი ბიბლიოგრაფია და საძიებელი. კვლევის მთავარი მიზანი, ავტორის განმარტებით, არის კონცეტრირება მოახდინოს ინდოელი ერის ურთიერთდაპირისპირებულ იდენტობრივ ნარატივებზე და გაარკვიოს რა გავლენა აქვთ მათ ინდური იდენტობის ჩამოყალიბებაზე. ამ მიზნით ის სწავლობს იმას თუ როგორ ხდება კონსტრუირება, დამუშავება და შეთანხმება იმისა, რასაც ეწოდება ოფიციალური ისტორია. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დასჭირდა ავტორს თვალი მიედევნებინა ინდური ისტორიის სახელმძღვანელოების გამო პოლიტიკოსთა და მეცნიერთა შორის დაპირისპირების ისტორიისათვის. ის იკვლევს პოსტკოლონიურ ინდურ სახელმწიფოში ერის მშენებლობის დინამიკას, ისტორიის სწავლების და განათლების სპეციფიკური ხასიათის ინტერაქციას. ნაჩვენებია უმჭიდროესი კავშირი პოლიტიკური დაპირისპი-

[23] Routlege Advances in South Asian Studies, London and New York , 2010.

რებებისა და სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული დებატების ინტესივობას შორის. ზოგი ჯგუფი მხარს უჭერს ნარატივის სეკულარულ ვერსიას, ზოგი რელიგიურს ანუ ჰინდუ ნაციის იდეის ანუ არიან ე.წ. სეკულარისტები და ჰინდუ ნაციონალისტები. ეს უკანასკნელნი ნაციიდან გამორიცხავენ უმცირესობებს და, პირველ რიგში, მუსლიმებს. ზოგჯერ ეს პოზიცია გადადის ექსტრემიზმში. ამასთან დაკავშირებით მოყვანილია მეჩეთის დანგრევის მაგალითი. დეტალურად არის აღწერილი კურიკულუმის შედგენის ვითარება, საგანმანათლებლო სისტემა, აგრეთვე, ნაჩვენებია ავტორისეული გაგება უმთავრესი კონცეპტებისა, მაგალითად, ნაციის კონცეპტი არის ვრცლად განმარტებული. წარმოდგენლია დებატების ამსახველი კონკრეტული ფაქტები, სახელმძღვანელოების ილუსტრაციები, შესაბამისი ამონარიდები ტექსტებიდან. დასკვნაში კიდევ ერთხელ დადასტურებულია ის დიდი ადგილი, რომელიც ინდურ სინამდვილეში, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში უკავია დებატებს სახელმძღვანელეობის შესახებ. ხაზგასმულია, რომ ამ დებატების მიღმა იმალება ინდოელი ერის ეგზისტენციალური საკითხი: ორი დაპირისპირებული პოზიცია ინდოელი ერის რაობის განსაზღვრასთან დაკავშირებით: სეკულარიზმი და კომუნალიზმი. ავტორი საუბრობს ინდოელი ერი-სახელმწიფოს სამ შესაძლო მოდელზე: ერთი ის, რომელიც შემოგვთავაზა ნერუმ. ესაა უნიტარული ხედვა, მეორეა სახელმწიფო, როგორც ჰინდუ ერი, ამ მოდელმა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან მოიცა ძალი, თუმც 2004 და 2009 წლების არჩევნების შემდეგ მან უკან დაიხია. მესამე პოზიციაზე უნდა ვილაპარაკოთ მრავლობით რიცხვში, რადგან აქ გაერთიანებულია ბევრი სხვადასხვა შეხედულება „არაპრივილეგირებული ადამიანებისა:“ დაბალი კასტები, მუსლიმები, ქალები. ეს ჯგუფები, რომელთაც სულ ბოლო დრომდე არ ჰქონდათ არავითარი უფლება, როგორ წარმოიდგენენ ერს? ამის საპასუხოდ სპეციფიკური დისკურსების შესწვლა არის საჭირო.

ისტორიკოსები, რომლებიც სახელმძღვანელოებზე დებატებში მონაწილეობას იღებენ, მხარს უჭერენ ეროვნული იდეის გარკვეულ ვერსიას. ეროვნული ნარატივის ჰეტეროგენულობა, ცენტრზე არაორიენტირებული ან ალტერნატივული ნარატივები არის ინდური პოლიტიკური და აკადემიური დისკურსის პრობლემა, რაც აისახება ეროვნული ისტორიის სახლმძღვანელოებში და მათთან დაკავშირებულ დებატებში

როგორც ვხედავთ, ძალიან ინფორმაციული გამოკვლევაა, ქართულისაგან განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ სახელმძღვანელოების ანალიზით ინდოეთის ისტორიის უახლესი პერიოდის დასამახსოვრებელი რეპრეზენტაციაა მოცემული.

Satenik Mkrtchyan. The Republic of Armenia's Neighbours in the Late 19th and Early 20th Centuries in Contemporary World History Textbooks.[24]

ნაშრომი მიზნად ისახავს თანამედროვე მსოფლიო ისტორიის სომხური სახელმძღვანელობის ანალიზს. მისი ამოსავალი შეხედულება ისაა, რომ სახელმძღვანელოები ისტორიაში წარმოადგენს იმ „ოფიციალურ შეხედულებას", რომელსაც სახელმწიფო ახვევს თავის მოქალაქეებს ადრეულ ასაკში. ეს განსაკუთრებით საგრძნობია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც ახლო წარსულში ჰქონდათ შიდა კონფლიქტები ან დისპუტები სხვა სახელმწიფოებთან. შემდეგ ის ასახელებს რამდენიმე მნიშვნელოვან გამოკვლევას, რომელიც უშუალოდ ეხება ვითარებას სამხრეთ კავკასიაში.[25] განხილულ საკითხებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ეჩვენება დაკვირვება იმაზე,

---

[24] History Lessons of the 20the c: "Our Neighbors" and "Us" (Turkey and the South Caucasus), Tbilisi, 2011,47-60.

[25] CIMERA, 2007. History Teaching in Georgia Representation of Minorities in Georgian History Textbooks. Available at: http://www.cimera.org/pdf/history_teaching_in_georgia.pdf

M.Ferro. The Use and Abuse of History or How the Past is Taught to Children. London and New York: Routledge 2003; S. Rumyantsev. "Ethnic Territories" Presentation Practices in Historical Textbooks. In PostSoviet Azerbaijan and Georgia. Internationale Schulbuchforschung, 30, 2008, pp. 811–824.

თუ როგორ არის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ქვეყნის მეზობლები, ამ შემთხვევაში სომხურ სახელმძღვანელოებში სომხების მეზობლები. საანალიზოდ შერჩეული აქვს მერვე, მეცხრე და მეთერთმეტე კლასების სახელმძღვანელოები და შენიშნავს, რომ სომხეთის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია თითო სახელმძღვანელო თითოეული კლასისათვის. მისი კვლევის ფოკუსია სომხეთის ოთხი მეზობლის რეპრეზენტაცია. ეს მეზობლებია: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთის რესპუბლიკა და ირანის ისლამური რესპუბლიკა. ავტორი გვპირდება, რომ აგრეთვე შეეცდება აჩვენოს თუ რამდენად ეთანხმება სახელმძღვანელოებში შეხედულებები სომხეთის ეროვნული უშიშროების გენერალურ სტრატეგიას. სახელმძღვანელოებს ის აანალიზებს იუნესკოს მიერ შემუშავებული მეთოდოლიგიით, რომელიც გულისხმობს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ანალიზს. რაოდენობრიობის კუთხით უკვირდება მასალის მოცულობას, თვისებრივით იმ ძირითად გზავნილებს, რომელიც მოდის ტექსტებიდან. ლინგვისტურ მონაცემებსაც უკვირდება ანუ იმას თუ როგორ არის ეს გზავნილები გადმოცემული, ან როგორია აქტორთა პორტრეტები და ა.შ.

საგანგებოდ ჩერდება სომხეთის ეროვნულ სტანდარტზე ისტორიის დარგში. ამ სტანდარტის მიხედვით მსოფლიოს ისტორიის გადმოცემისას მთავარია ფოკუსირება იმ ქვეყნებზე, რომლებიც ისტორიის შესაბამის ფაზაში არიან ამინდის შემქმნელნი და, აგრეთვე, სომხეთის მეზობელ მეზობელ ქვეყნებზე. ადარებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებს, ავტორების თუ სხვადასხვა ფაქტების გაშუქების თვალსაზრისით. მერე ცალკე პარაგრაფებში განიხილავს თოთოეული მეზობლის რეპრეზენტაციას სახელმძღვანელეობის მიხედვით. ამ კვლევის შედეგად მიღებული ავტორის დასკვნა კი ასეთია: სომხური სახელმძღვანელოები არ შეიცავენ რაიმე „სამეზობლო“ დისკურსს. ცალკე თავს ან ქვეთავს არცერთ მეზობელს არ უძღვნიან. ამის მიზეზი უნდა იყოს, ავტორის აზრით, სომხეთის ეროვნული სტანდარტი და წიგნის შეზღუდული მოცუ-

ლობა, რომელშიც მეტის თქმა შეუძლებელია თუ არა გაკვრით საუ-ბარი. არის ევროპოცენტრისტულ ხედვა, ქვეყნები კლასიფიცირებუ-ლია როგორც პროგრესული (მაგალითად, ევროპა, აშშ) და აღმოსავ-ლეთის ტრადიციული საზოგადოებები (მაგალითად, ოსმალეთის იმპერია, ირანი და ქემალისტური თურქეთი). სახელმძღვანელოები არასოდეს საუბრობენ ქართველებზე, აზერბაიჯანელებზე,ირანე-ლებზე, არამედ ახსენებენ საქართველოს, აზერბაიჯანს და ირანს. მეცხრამეტე საუკუნისათვის საუბრობენ ოსმალთა ბატონობაზე ან თურქეთზე, ხანდახან, თურქეთის რესპუბლიკაზე. საქართველო წარმოდგენელია, როგორც „ტრადიციულად მეგობრული ქვეყანა“, ირანი, კი არის ქვეყანა, რომელთანაც „სამეზობლო ურთიერთობები ემყარება საზიარო რეალობებს“, მაგრამ აზერბაიჯანი და თურქეთი წარმოდგენილნი არიან, როგორც ქვეყნები, რომლებისგანაც მოსა-ლოდნელია პოტენციური საფრთხეები და მათთან ურთიერთობა საჭიროებს ნორმალიზებას.

Севиль Гусейнова. Азербайджан в конце XX – начале XXI века: этнические границы в контексте отношений с «соседями».[26]

ნაშრომი იწყება შესავლით, რომელშიც საუბარია მეოცე საუკუ-ნეში აზერბაიჯანელ ინტელექტუალთა მცდელობებზე დაემუშავე-ბინათ ეროვნული იდენტობის საკითხი. მეცხრამეტე საუკუნეში ინ-ტელექტუალები ცდილობდნენ გამოეღვიძებინათ ხალხის თვით-ცნობიერება. ისინი სხვადასხვა ევროპული ნაციონალიზმებისა და მოდერნიზაციის პროცესის გავლენის ქვეშ იყვნენ. ერის მშენებლო-ბის პირველი ეტაპი იყო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბ-ლიკის გამოცხადება 1918 წელს. საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობ-და არა მარტო ერის „ტერიტორიალიზაციის“ პროცესი, არამედ მისი „სულით ავსება“. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის საბოლოო მიზა-ნი იყო ერების შერწყმა, მაგრამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშ-ლამ ეს პოლიტიკა საბოლოოდ დაასამარა, მაგრამ სწავლება და ერე-

[26] History Lessons of the 20the c: “Our Neighbors” and “Us” (Turkey and the South Caucasus), Tbilisi, 2011, 101-122.

ბის პერცეფცია კვლავ საბჭოურად წარიმართებოდა ყოფილ რესპუბ-ლიკებში და, მათ შორის, აზერბაიჯანში. ერი ცნება გაიგებოდა კვლავ საბჭოურად ანუ სტალინური დეფინიციის მიხედვით. დღე-საც აზერბაიჯანის სკოლებში არსებობს თითოეული კლასისათვის აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოების ერთადერთი ინ-სტიტუციონალიზებული ვერსია. ერის შესახებ თხრობას აქვს ესენ-ციალისტური ხასიათი. ყოველი ერი-სახელმწიფო რეპრეზენტირე-ბულია, როგორც ჰომოგენური და სოლიდარული ჯგუფებისაგან შემდგარი რამ. ასევეა წარმოდგენილი მეზობელი სახელმწიფოებიც, რომლებთანაც აზერბაიჯაბი ან „მეგობრობს“ ან „არ მეგობრობს“ .

ავტორი ჩერდება სხვადასხვა საკითხის რეპრეზენტირების სტილზე. მაგალითად, აზერბაიჯანელების ეთნოგენეზისს ეხება. სა-ხელმძღავნელოების მიხედვით აზერბაიჯანელები წარმოდგებიან სხვადასხვა ტომებისაგან, მაგრამ, ხაზგასმულია, რომ ყველა ეს ტომი თურქული წარმომავლობისაა. ერის წარმოშობას ეძღვნება ცალკე გა-ნაყოფი, სადაც სტალინისეული დეფინიციის მიხედვით არის წარ-მოდგენილი მასალა. მეზობლების დახასიათებისას საინტერესოა, რომ საქართველოს თითქმის არ ექცევა ყურადღება. ის არც ისე პრობლემურია, როგორც სომხეთი და არც ისე ძლიერი, როგორც თურქეთი. ამას თვლის ავტორი ამ ნაკლები ინტერესის მიზეზად. ირანი კი არის მტრული სახელმწიფო. რუსეთი იმპერიად აღიქმება. ანუ მტრული დამოკიდებულება ფიქსირდება რუსეთის, ირანის და, განსაკუთრებით, სომხეთის მიმართ, კეთილმეზობლური ურთიერ-თობები შესაძლებელია მხოლოდ თურქეთთან და საქართველოს-თან. ავტორის დასკვნა ისაა, რომ ამგვარი ნარატივის არსებობის პი-რობებში, რომელსაც მოიხმარს პოსტსაბჭოთა პერიოდის აზერბაი-ჯანელი მოქალაქეები, ძალიან ძნელი იქნება რეგიონალური ინტეგ-რაცია.

Ksenia Kurguzova. Soviet History in Hindsight: A Comparative Study of History Textbooks in Russia, Ukraine and Estonia between 1980 and 2010. [27]

ნაშრომი არის დისერტაცია და ის იკვლევს საბჭოთა და რუსული ისტორიისა დრამატულ რღვევას დაწყებული 1985 (ზოგ შემთხვევაში 1991) წლიდან, რომლის დროსაც უკრაინის, ესტონეთის და რუსეთის ურთიერთდაპირისპირებულ ლიდერებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი შეხედულება შესაბამისი ხალხების იდენტობის შესახებ და მათ ისტორიაზე. დისერტაციის მთავარი მიზანია ის, რომ ისტორიის, იდეოლოგიურ და ეროვნულ ცნობიერებას შორის კავშირის ახალი გაგება წარმოადგინოს.

მოჰყავს ტონი ჯუთის ძალიან საინტერესო გამონათქვამი, რომელიც მას მოცემული აქვს თავის წიგნში, *Postwar*.[28] ეს არის ანეგდოტი: რეკავენ სომხურ რადიოში კითხვით იმის შესახებ შეუძლიათ თუ არა მათ, რომ განჭვრიტონ მომავალი. პასუხობენ, რომ ეს არ არის პრობლემა, რომ ზუსატდ იციან რა იქნება მომავალში. მათი პრობლემა წარსულია, რომელიც მუდამ იცვლება.

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ისტორია აღარ არის უბრალოდ სამეცნიერო საქმიანობა, არამედ პოლიტიკის მძლავრი იარაღი. ისტორიკოსები აღარ არიან თავისუფალნი ისტორიის ინტერპრეტირებაში საკუთარი შეხედულებისამებრ, ამის მაგიერ მათ უნდა მისდიონ მთავრობის ინსტრუქციებს. ფაქტობრივად არცერთი მეცნიერება ისე მკაცრად არ ყოფილა კონტროლირებული, როგორც ისტორია. სწავლებაც კონტროლდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების მერე რუსეთისაგან განსხვავებული საერთო თემები ჩამოუყალიბდათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს: ეს იყო დაფარული ისტორიის აღმოჩენა, კულტურული რეპრესიები, ნაციონალური

[27]Université de Montréal.Département d'histoire Faculté des Arts et Sciences Thèse présentée à la Faculté des études supérieures en vue de l'obtention du grade de Maître ès art en Histoire Juillet 2011 .

[28] Tony Judt, Postwar: A History of Europe since 1945, New York, Penguin Press, 2005. 830.

დაუმორჩილებლობა. კომუნისტური ბლოკის დაშლამაც თავისი კვალი დაამჩნია საბჭოთა სასკოლო განათლების სისტემას.

დღეს ცხარე დებატები მიმდინარებს აშშ-ში, ჩინეთში, იაპონიაში და სხვაგან ნაციათმშენებლობის პროცესის და ნაციონალური იდენტობის გასაგებად, გამოიკვეთა სასკოლო ისტორიას პოლიტიკური მნიშვნელობა და გლობალურ ისტორიულ დებატებთან მისი კავშირი.

ევროპის საბჭოს და გაეროს ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კვლევა სასკოლო ისტორიის შესახებ და დაგვირგვინდა სულ ბოლოდრიონდელი პუბლიკაციით „History Education in Europe: Ten Years of Cooperation between the Russian Federation and the Council of Europe“ (2006). ასევე მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს სამწლიანი (1999-2001) პროექტი და პროექტი „Learning and Teaching about History of Europe in the 20th Century“ (2001), რომელიც დაგვირგინდა საბოლოო ანგარიშში „The 20th Century: an Interplay of Views“(2001).

მაგრამ, მიუთითებს ავტორი, ისტორიის სახელმძღვანელოები არავის შეუსწავლია აღნიშნულ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში. ავტორი აპირებს გაარკვიოს იყო თუ არა პოსტსაბჭოთა პერიოდში კვლავ წინასწარ აკვიატებები, პროპაგანდა და სახელმწიფო იდეოლოგია. სტალინი თავად კითხულობდა და კომენტარებს უკეთებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. ის ისტორიკოსები, რომლებიც უარს ამბობდნენ მიჰყოლოდნენ მთავრობის ინსტრუქციას, დაისაჯნენ. გვიან ორმოცდაათიან, სამოც და სამოცდაათიან წლებში ხრუშჩევი და ბრეჟნევიც დესტალინიზაციის კურსს დაადგნენ და სტალინის ხსენება თითქმის სულ ამოიღეს სახელმძღვანელოებიდან, მაგრამ სისტემის მთავარი მიზანი ძველი დარჩა: შეექმნათ ადამიანი, რომელსაც ექნებოდა კომუნისტური ან სოციალისტური მორალი ანუ იქნებოდა ახალი საბჭოთა ადამიანი. ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო თავდადებული საბჭოთა სამშობლოსადმი და თავისუფალი ეთნიკურობისა და კულტურული მიკუთვნებულობის განცდისაგან. ამ

ადამიანს უნდა ეღვაწა საზოგადოების კარგად ყოფნისა და მომავალი თაობების ბედნიერებისათვის.

ავტორის აზრით, მიზანი მიღწეულ იქნა, ოღონდ შედეგი იყო გამანადგურებელი: ქმნიდნენ საბჭოთა ტიპის მენტალობას, რაც ზიანს აყენებდა და დღესაც აყენებს რუსულ საზოგადოებას. ამის მიუხედავად, საბჭოთა სკოლის მიღწევები იყო შთამბეჭდავი. მოისპო უწიგნურობა. მაგრამ ბრეჟნევის ეპოქაში საბჭოთა სასკოლო სისტემა აღმოჩნდა კრიზისულ ვითარებაში. ეს იყო ქრონიკული უსახსრობა, რამაც მასწავლებლების უმუშევრობა გამოიწვია. განათლებაში გორბაჩოვის დინამიკური რეფორმების დროს მილიონობით საბჭოთა ადამიანმა საკუთარი წარსულის ძიება იწყო. ყველა მიხვდა, რომ სახელმძღვანელოები ამას ვეღარ პასუხობდნენ. ჟურნალებსა და გაზეთებში ისტორია მოწინავე სიახლედ გადაიქცა. მრავალი ადამიანი ჩაერთო ამ დებატებში. პუტინმა პირადი დაინტერესება გამოიჩინა სკოლებში ისტორიის სწავლებას მიმართ. რუსებს ახსენებდნენ თავიანთ დიდ მოღვაწეებს პეტრე დიდს, ეკატერინე დიდს და, აგრეთვე, წინააღმდეგბრივად, სტალინს. მედვედევმა ისტორიის ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად ახალი კომიტეტი დააფუძნა 2009 წელს. რევოლუციური გზა დაგმობილ იქნა, როგორც მტკივნეული. და აგრეთვე ისტერიკული პატრიოტიზმი, რომელიც სხვა ერების დამცირებას ეფუძნება. ოთხმოცდაათიან წლებში ისტორიკოსებმა არ იცოდნენ როგორ მოჰკიდებოდნენ საბჭოთა ისტორიას და მეორე მსოფლიო ომს. ეს ვითარება თავის ასახვას სახელმძღვანელოებშიც პოულობს.

ეს ნაშრომის ჩვენთვის საინტერესოა, რამდენადაც პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიული ფონი კარგად არის დამუშავებული. აქ წარმოდგენილი რეპრეზენტაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში პოსტსაბჭოური პერიოდის სახელმძღვანელოების გან-

ხილვის დროსაც. ძალიან საინტერესოა აქ დამოწმებული სპეციალური ლიტერატურაც.[29]

Biljina Popovska. The Role of Teaching History for a Nation-Building Process in a Post-Conflict Society. The Case of Macedonia.[30]

ეს სტატია აანალიზებს ისტორიის სწავლების როლს ერის მშენებლობის პროცესში პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში. ავტორი იყენებს მაკედონიის შემთხვევას და მიუთითებს, რომ იმ საზოგადოებებისათვის, რომლებიც კონფლიქტების შემდგომ რეგენერაციას ახდენენ, წარსული არის განსაკუთრებით მგრძნობიარე. ის აგრეთვე ცდილობს აჩვენოს, რომ დაკვირვებამ ისტორიაზე და, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებაზე, შეიძლება მაკედონიას მისცეს მოდელები, რომელსაც უნდა მისდიოს, რათა ერმა წინ წაიწიოს, ეს არის მცდელობა, რომლისათვის იქნება საჭირო ეროვნული ისტორიის სწავლებისადმი ახალი მიდგომა.

ავტორი ამოდის იმ თეორიული დაშვებიდან, რომ ისტორიის სწავლება არის მთავარი მექანიზმი სამართლიანობისათვის გარდა-

---

[29] J. Zajda. The Politics of Rewriting History: New School History Textbooks in Russia, In: J. Zajda (Ed.), The International Handbook of Globalisation and Education Policy Research.
Dordrecht, Springer, 2005; Jan Germen Janmaat, The Ethnic „Other" in Ukrainian History Textbooks: the Case of Russia and the Russians, Compare, vol. 37, no. 3 ‚June 2007, 307-324; Meike Wulf and Grönholm Pertti. Generating Meaning Across Generations: The Role of Historians. In: The Codification of History in Soviet and Post-Soviet Estonia, Journal of Baltic Studies, vol. 41, no. 3 (Spetember 2010; Tatyana Volodina. Teaching History in Russia after the Collapse of the USSR, The HistoryTeacher, vol. 38, no. 2 (Febuary 2005); Ekaterina Levintova and Jim Butterfield. History Education and Historical Remembrance in Contemporary Russia: Sources of Political Attitudes of Pro- Kremlin Youth, Communist and Post-Communist Studies, vol. 43, no. 2,2010; Peter W. Rodgers, Compliance or Contradiction? Teaching 'History' in the 'New' Ukraine. A View from Ukraine's Eastern Borderlands. Europe-Asia Studies, vol. 59, no. 3(May 2007); Catherine Wanner. Burden of Dreams: History and Identity in Post-Soviet Ukraine, The Pennsylvania State University Press, University Park, Pennsylvania, 1998; Sirkka Ahonen. Clio Sans Uniform: A Study of the Post-Marxist Transformation of the History Curricula in East Germany and Estonia, 1986-1991, Helsinki, Suomalainen Tiedeakatemia, 1992.

[30] 2012, http://www.isn.ethz.ch/Digital Library/Publications/Detail/?lang=en&id=168078

მავალ საზოგადოებებში. კერძოდ, ის ეფუძნება ისეთ პუბლიკაციებს როგორიცაა: “Clio in the Balkans” და “Joint History Text-Book Projects. Interviews of Macedonian and Albanian Teachers” .

იმ საზოგდოებებისათვის, რომლებიც უმძიმესი კონფლიქტებიდან წარმოსდგნენ, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა რა დამოკიდებულება ექნებათ წარსულთან, რომელიც არის ძალიან სენსიტიური, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ისინი მასობრივი მსხვერპლის ხსოვნას მოიცავს. ხშირად ხდება, რომ პოლიტიკური ლიდერები და სხვები ამჯობინებენ სოციალურ ამნეზიას და სწავლობენ მხოლოდ ახლო წარსულის ისტორიას. ამიტომ ისმის კითხვა: ისტორია თუ ეხმარება ტრანსნაციონალურ საზოგადოებას გახდეს უფრო დემოკრატიული და ხელი შეუწყოს ემპათიას და სოციალურ კოჰეზიასაც ძველ მტრებს შორის. სწორედ ამის კვლევას ესწრაფვის ავტორი. ნაციონალური იდენტობა უნდოდათ შეექმნათ, მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივ მრავალფეროვნებას უჭერდა მხარს. ის განიხილავს არაერთ წიგნს, რომელიც ეძღვნება მის მიერ დასმულ პრობლემას.[31] ეს გამოკვლევები უაღრესად საინტერესოა ქართველი მკითხველისათვისაც ქართული სახელმძღვანელობის შესწავლისას შესაბამისი ამოცანების იდენტიფიცირებისათვის.

Pak-sang Lai and Michael Byram. Re-Shaping Education for Citizenship: Democratic National Citizenship in Hong Kong.[32]

---

[31] Elizabeth A. Cole. Transnational Justice and the Reform in History Education. International Journal on Transnational Justice 1, 2007; Paul Connerton. How Societies Remember. Cambridge. Cambridge University Press, 1989; Eric Foner. Who Owns the Past? Rethinking the Past in a Changing World. New York, Hill and Wang, 2002; Hopken Wolfgang. Textbooks and Reconciliation in Southeastern -Eastern Europe. In: Culture and Reconciliation in Southeastern -Eastern Europe, Thessaloniki: Paratiritis, 1997, vol, l2, 90-104; Alison Kitson. History Teaching and Reconciliation in Northern Ireland. In: Teaching the Violent Past: History of Education and Reconciliation. Lanham: MD, Rowmen and Littlefield, 2007; Christina Koulouri. Clio in the Balkans: The Politics of History Education, Thessaloniki: CDRSEE, 2002; Mirela-Luminita Mirgescu., Rewriting School Texrbooks as a TOOL of Understanding and Stability, Southeast European and Black See Studies 2, no 1, 2002, 90-104.

[32] Cambridge Scholars Publishing. 2012.

ეს არის მონოგრაფია. ნაშრომი შედგება შესავალისა და რამდენიმე თავისაგან. ეს შესავალია ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო. ასევე თავი მეშვიდე, რომლის სათაურია „School and Theories of Nation Building“.

აქ საუბარია იმ სპეციფიკურ ვითარებაზე, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში იმის გამო, რომ 1997 წელს ჰონგ-კონგმა შეიცვალა სუვერენობა და დაიწყო რეინტეგრირება ჩინეთთან როგორც ცალკე ადმინისტრაციულმა რეგიონმა. განათლება მიზნად ისახავს, რომ, ერთის მხრივ, აზრობრივად დაასაფუძვლოს ჰონგ-კონგის ეს სპეციფიკური მდგომარეობა: მისი გარკვეულად განკერძოებული ყოფნა და, ამავე დროს, ჩინეთთან ინტეგრირება, თვითმმართველობა და ჩინურ იდენტობაში მონაწილეობა. გაჩნდა მოქალაქეობის ახალი ცნება: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“, რაც მიუთითებს, რომ ჩინეთში მოქალაქეობის ახალი, სოციალისტურისაგან განსხვავებული, გაგება ყალიბდება. კეთდება აქცენტი მსგავსებებზე და განსხვავებებზე. მსგავსებების პაკეტი მოიცავს ეთნიკურ კულტურას და თანამედროვე მიღწევებს, განსხვავებები ეხება დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას, ინდივიდუალიზმს და ადამიანის უფლებებს და თავისუფლებას ლოკალურ დონეზე. თუმც ხანდახან ჩინური ნაციონალური პოზიცია სჯობნის, რადგან ჩინეთი კონსტიტუციონალურად წარმოადგენს ჰონგ-კონგს ეროვნულ დონეზე. ჩინეთში ავითარებენ პან-ჩინურ ნაციონალისტური პოლიტიკას, რაც ნიშნავს სახელმწიფო ნაციონალიზმს. ის ცენტრირებულია პარტია-სახელმწიფოზე და ხელს უწყობს ლოიალობის განვითარებას პან-ჩინური იდენტობის გზით. ამ დოქტრინის მიხედვით ნაციონალური იდენტობანი შესატყვისია ყველა ეთნიკური იდენტობისა ანუ როგორც ხანი, ისევე არა-ხანი ეთნიკურობისა. მოიცავს ორივე ელემენტს ეთნოცენტრულს და თანამედროვეს. ეთნოცენტრულის მიხედვით ყველა, ვინც ცხოვრობს ჩინეთის ტერიტორაზე, არის ჩინეთის მოქალაქე. არდაბადება ამ ტერიტორიაზე მოქალაქეობას გამორიცხავს. მოდერნული ელემენტი ჩინურ ეროვნებას აძლევს ყველას, ვინც ჩინეთის სახალხო რესპუბ-

ლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მიუხედავად მისი ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური და კულტურული კუთვნილებისა. ჰონკ-კონგის შემთხვევაში ჰონგ-კონგის ხანი ეთნიკურობის მქონე მოსახლეობას შეუძლია მოიპოვოს მოქალაქეობა იმიტომ, რომ არიან ამ ეთნიკურობის მატარებელნი, მაგრამ ჰონგ-კონგში მცხოვრები არა ხანი და არა ჩინელი ხალხის ინტეგრირებას ხელს უშლიან, სანამ არ მოხდება მათი ნატურალიზება. ამ რთული ვითარების მოწესრიგება ნაწილობრივ ხდება სწორედ ისტორიის სახელმძღვანელობის გზით. ამის ანალიზს მოიცავს ამ წიგნის გარკვეული თავები.

Lorenzo Durante. History Textbooks as an Instrument of the Nation-building Process: The Case of Israel.[33]

თავდაპირველად ავტორი განიხილავს ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობის საკითხს, ყურადღებას ამახვილებს რა ეთნო-რელიგიურ ექსკლუზიურ ნაციონალიზმსა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ნაციონალიზმებს შორის ურთიერთდაძაბულობაზე. მერე ჩერდება სახელმწიფოს ისეთ ინსტრუმენტზე, როგორიც არის სკოლა. ამასთან დაკავშირებით მოჰყავს საინტერესო ამონარიდი სხვა მკვლევრის ნაშრომიდან: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ინტერნეტისა და ტექნოლოგიების ეპოქაში, „ყველაზე მძლავრი და გამჭოლი ტექნოლოგია არის სახელმძღვანელო.“[34]

ავტორი მიმოიხილავს თუ როგორ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში არაბებისა და ისრაელელების კონფლიქტი და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ კონფლიქტის გაღრმავებაში დიდი როლი ითამაშა სწორედ სახელმძღვანელოებმა. სულ ბოლო ხანებამდე არაბები ისრაელის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ იყვნენ ნეგატიურად.

---

[33] Master in European Studies. Political path. Université Libre De Brusselles. Université D'Europe, A. Y. 2011/2012,

[34] Philip G. Altbach, Textbooks in Comparative Context. In R. Murray Thomas and Victor N. Kobayashi, eds., Educational Technology – Its Creation, Development and Cross-Cultural Transfer, Oxford 1987; Elie Podeh, The Arab-Israeli Conflict in Israeli History Textbooks, 1948-2000, Westport 2002, Bergin and Garvey.

ისრაელში ჩვენ ვხედავთ სეკულარიზმისა და რელიგიის, მოდერნულობისა და ტრადიციის ნარევს. ნაციონალიზმი ყველგან და ყოველთვის საჭიროებს, რომ გაიაროს კონსტრუირების პროცესი. ამას ბენედიქტ ანდერსონი[35] უწოდებს „წარმოსახვით ერთობებს“, რომელიც მიიღწევა კოლექტიური მახსოვრობით. მორიც ჰალბვაქსის[36] მიხედვით მახსოვრობის ფორმა უფრო მეტად იმ ერთობაზეა[37] დამოკიდებული, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს, ვიდრე პერსონალურ მეხსიერებაზე. თავად ერთობა, იმისათვის, რომ აზრი მიანიჭოს თავისი ხალხის ბედისწერას, ქმნის წარსულის ხატს მომავალი თაობებისათვის, რითაც აძლევს მათ ფასეულობებს, მითებს, მოვლენებსა და პერსონალიებს, რომლებიც ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი ერების ისტორიისათვის და საერთო იდენტობის შენახვისათვის. კოლექტიური მეხსიერების მახასიათებლები დამოკიდებულია ერთობის თანამედროვე საჭიროებებზე. თუმც აწმყო აყალიბებს კოლექტიურ მეხსიერებას, წარსული, როგორც ისტორიული ცნობების ნაკრები, შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს, მაგრამ შეუძლებელია შეიცვალოს, ან მოთხრობილ იქნეს წარსულის ფაქტების გამოტოვებით. სელექციის პროცესი საჭიროა იმისათვს, რომ მომავალმა თაობებმა მიიღონ ის ხატები, რომლებიც, ერთობის აზრით, საჭიროა, რომ ახსოვდეს მომავალ თაობას. მერე ავტორი კონკრეტულად ეროვნულ მეხსიერებაზე ჩერდება, რომელიც არის სპეციფიკური მოვლენა და რომელიც ვრცელდება სოციალური აგენტების, ინსტიტუტების, ისეთი სოციალური ურთიერთობების გზით, როგორიცაა განათლების სისტემა, მუზეუმები, ცერემონიები და იუბილეები.

---

[35] Benedict Anderson, Imagined Communities: Reflection on the Origin and the Spread of Nationalism, London, Verso Books, revised edition, 1991.

[36] Maurice Halbwachs, La mémoire collective, Paris, Albin Michel, 1997, in Avner Ben Amos, “La mémoire nationale”, in Alain Dieckhoff ed., L’État d’Israël, Paris, Fayard, 2010.

[37] აქაც, ზემოთაც და ყველგან შემდგომშიც *ერთობას* ვიყენებთ სიტყვის *community* გადმოსაცემად. შდრ. რუსული სიტყვა *общность*.

ავტორი იმოწმებს მკვლევარ პოდეჰს,[38] რომლის მიხედვითაც სახელმწიფო კონტროლი საგანმანათლებლო სისტემაზე გზას უხსნის მანიპულაციას წარსულზე იმ მიზნით, რომ გამოიძერწოს აწმყო და მომავალი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სახელმძღვანელოების მაგალითზე, რადგან მათ შეუძლიათ შექმნან წარსულის და აწმყოს განგრძობადობის შთაბეჭდილება. სხვა ავტორის[39] აზრით, სახელმძღვანელოები გადმოსცემს იმას, რაც, უფროსების აზრით, უნდა ახსოვდეთ ახალგაზრდებს. ავტორის მიერ დამოწმებული სხვა მკვლევარი[40] კიდევ უფრო მაქსიმალისტია თავის მტკიცებებში, კერძოდ, ის თვლის, რომ სახელმძღვანელოები წარმოადგენს იდეოლოგიურ იარაღს იმისათვის, რომ განმტკიცდეს გარკვეული რწმენების სისტემა, მოხდეს დამკვიდრებული პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ლეგიტიმიზება.

ავტორი ნაშრომის ერთი ნაწილისათვის ეყრდნობა ზემოთ უკვე დასახელებული მკვლევრის – პოდეჰის გამოკვლევას, რომელშიც განხილულია სასკოლო სახელმძღვანელოები ისტორიაში 1948 წლიდან 2002 წლამდე. მკვლევარი ხაზს უსვამს სახელმძღვანელოსა და ისტორიულ კონტექსტს შორის კავშირის მნიშვნელობას.[41]

ეს გამოკვლევა, ჩვენი აზრით, ძალიან კარგად აჩვენებს ისრაელის მაგალითზე იმ ფაქტს, რომლის შესახებაც ითქვა სულ თავში: კერძოდ, იმას, რომ სახელმძღვანელო ესაა აწმყოს „შექმნის“ იარაღი და მისი წარმომშობი საზოგადოების შესახებ მნიშვნელოვანი წყარო.

---

[38] David R. Olson, On the Language and Authority of Textbooks, in Suzanne De Castell, Allan Luke and CarmenLuke, eds., Language, Authority and Criticism: Readings on the School Textbook, London, 1989.

[39] Howard D. Mehlinger, International Textbook Revision: Examples from the United States, International Schulbuchforshung, vol. 7, num. 287, 1985.

[40] Michael W. Apple, The Politics of the Textbook, London, 1991.

[41] Elie Podeh, “History and Memory in the Israeli Educational System The portrayal of the Arab-Israeli Conflict in History Textbooks (1948-2000). In: History and Memory, vol. 12, num. 1, spring/summer 2000, 65-100,

Manon Chauveau. Algerian Colonial History in French Textbooks. At the Crossroad of Nationalism and Memory Clashes.[42]

ნაშრომი, რომელიც აგრეთვე სამაგისტრო დისერტაციას წარმოადგენს, უაღრესად მაპროვოცირებელია, როგორც მოძიებული ფაქტებით, ასევე პრობლემის დასმითა და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის იდენტიფიცირებული ამოცანებით, რომელთაც ასახავს ნაშრომის სტრუქტურა. იმათთვის, ვინც უშუალოდ საფრანგეთის ისტორიაში ალჟირის საკითხის გაშუქებით და ამის შესახებ სწავლების საკითხით არ ინტერესდება, მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის. შესავალში განსაზღვრულია მთავარი პრობლემა: 1870-2012 წლებში გამოსულ საფრანგეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში ალჟირის კოლონიზაციის ისტორიის წარმოდგენის საკითხი. აქ არის ჩამოყალიბებული მთავარი კვლევითი კითხვები. შემდეგ განმარტებულია თეორიული ცნებები: „ნაციონალური იდენტობა“ „ნაციონალური ისტორია“, ბენედიქტ ანდერსონისა და სტეფან ბერჟეს შეხედულებანი. მერე „ორიენტალიზმის“ და „სხვების“ საკითხი ფრანგულ სინამდვილეში, კოლექტიური მეხსიერების და მეხსიერებათა შეჯახების ცნებები. ამის შემდეგ წარმოდგენილია სახელმძღვანელოების კვლევის ისტორიოგრაფია. მიმოხილულია საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის ბევრი საგულისხმო ნაშრომი. [43]

---

[42] Master Thesis Erasmus University Rotterdam. 2013.

[43] Carretero, Anensio, Rodriguez-Moneo eds., History Education and the Construction of National Identities; Keith Crawford, The role and purpose of textbooks', International journal of historical Learning, 2003; Terry Hadyn, The Changing Form and Use of Textbooks in the History Classroom for the 21st Century: a View from the UK. In: International Society for History Didactics Yearbook, 2011; Maria Repousi. New HistoryTextbooks in Greece: The Chronicle of an Ideological War on the National Past. In: M.Repousi, C. Andreadou, A. Poutachidis and A. Tsivas, in: Later and Contemporary Years, Ministry of Education and Religion, Pedagogical Institute, Schoolbook Publishing Organization, Athens, 2006; Mieke Bal. Narratology: Introduction to the Theory of Narrative ,Toronto 1985. Thomas Barone. Beyond Theory and Method: A Case of Critical Storytelling, Theory into Practice, Journal of Curriculum Studies 312 ,1992, 142-146; Stefan Berger, Linas Eriksonas and Andrew Mycock, Narrating the Nation: Representations in History, Media and the Arts, Oxford/NewYork 2011; Stefan Berger. De-nationalizing History Teaching and Nationa-

შემდეგ ავტორს დახასიათებული აქვს ფრანგული დემოკრატია და ფრანგული ნაციონალიზმი, ფრანგული საგანმანათლებლო სისტემა, საფრანგეთი და იმიგრაცია, საფრანგეთი და ალჟირი, ფრანგული ორიენტალიზმი და მახსოვრობათა შეჯახება. მსჯელობს იმაზე თუ როგორ ხდებოდა დეკოლნიზაციის ისტორიის ჩამოცილება საფრანგეთის ისტორიისაგან: დეკოლონიზაცია ყოველთვის ისე იყო რეპრეზენტირებული, რომ თითქოს იგი კონკრეტულად საფრანგეთს არ ეხებოდა, არამედ რაღაც სხვას, უფრო გლობალურს.

ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც ავტორი მასალას აანალიზებს, ადრევე იყო იდენტიფიცირებული სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ ავტორი შემოქმედებითად იყენებს მათ. ის უკვირდება ჰეროიკული პერსონების რეპრეზენტაციას, „ჩვენ/ისინის“ კონცეპტუალიზაციას. ამ კონტექსტში საინტერესოდ ეჩვენება სახელმძღვანელოებში (და არა მარტო სახელმძღვანელოებში) გამოყენებული ტერმინი „ფრანგული ალჟირი“. ნაშრომში სპეციალური დისკუსიის საგანია სახლმძღვანელოთა ავტორი ან ავტორები, მათი თვითგამოხატვის ინტენსივობა თხრობისას. რომ სახელმძღვანელოების თხრობა ხშირად მშრალია და ავტორის ინდივიდუალობა სულაც არაა გამოკვეთილი.

ყურადღება ექცევა გაკვეთილების დიზაინსაც. შენიშნული აქვს, რომ ბოლოდროინდელ სახელმძღვანელოებში მასალა მკაცრად სისტემატიზებული არაა, ფაქტობრივად წყაროებისა და ლიტერატურიდან ამონარიდების გროვაა. ეს, ავტორის აზრით, ერთი მხრივ, კარგია, რადგან მოსწავლეებსა დ მასწავლებლებს აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას თავად შექმნან ნარატივი, მეორე მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ავტორი/ავტორები ერიდებიან პოზიციის დაფიქსირებას.

---

lizing it Differently. In Carretero et al ed., History Education and the Construction of National Identities, 33–47. Keith Crawford. The Role and Purpose of Textbooks, International Journal of Historical Learning,2003; James Wertsch. Narrative Tools of History and Identity, Culture Psychology 3, 1997, 1-17. Mario Carretero, Mikel Anensio and Maria Rodriguez ed., History Education and the Construction of Identities London, 2012.

შენიშნულია, რომ ფრანკო-ცენტრიზმიდან თანდათან მულტი პერ-სპექტივიზმზე გადასვლა ხდება.

Natalia Potapova. Normativity in Russian History Education: Political Patterns and National History Textbooks.[44]

ეს ნაშრომი ეძღვნება ისტორიის დარგში რუსულ საგანმანათ-ლებლო პოლიტიკის შესწავლას. აქ გაანალიზებულია ნორმატიული ქმედებანი და შესაბამისი იდეოლოგიური დაშვებები. მკვლევარი ცდილობს უპასუხოს კითხვებს: როგორ განსაზღვრავენ სახელმძღვა-ნელოთა ავტორები ისტორიული განათლების მიზნებს; თავიანთი კითხვებითა და ინსტრუქციებით რა ტიპის აქტივობებში რთავენ ეს სახელმძღვანელოები მოწაფეებს; როგორ წარმოადგენენ პოლიტი-კურ სუბიექტებს სხვადასხვა სახელმძღვანელოები.

მკვლევარი განიხილავს ნორმატიულობის პრობლემას სამ განსხვავებულ განზომილებაში: ა) თხრობასთან დაკავშირებით და ფაქ-ტების ახსნასთან დაკავშირებით: როგორ წარმოადგენენ პოლიტი-კურ აქტივობებს მოტივაციებით, მიზნებით, მიზეზების ჩათვლით, იდეებით კარგისა და ცუდის შესახებ და დაფუძნებით ექსპლიცი-ტურ თუ იმპლიციტურ თეორეტიზებაზე, ან როგორ ხდება ხილუ-ლი ხელისუფლება და წარმოჩინდება ისტორიულ ნარატივში; ბ)თუ მყარდება დიდაქტიკური კომუნიკაცია მკითხველებთან, როგორ ხდება ეს ინტერაქცია; გ) როგორია ისტორიასთან, როგორც სამეცნი-ერო დისციპლინასთან, მიმართება.

ეს ნაშრომი, თავად მისი ავტორის შეფასებით, არის ისტორიის ძალაუფლების რიტორიკის, სწავლების მოდელების და დისციპლი-ნის შესახებ. თეორიულად ის ეფუძნება პოსტსტრუქტურალიზმის ცნებას ძალაუფლების შესახებ, რომელიც ვლინდება იდეოლოგიასა და ინსტიტუციურ პრაქტიკაში. სახელმძღვანელო განიხილება, რო-გორც მედია-არხი პოლიტიკური იდეების გატარებისათვის. არსე-ბობს აზრი, რომ სახელმძღვანელო ნებას რთავს წინასწარაკვიატებე-

[44] Journal of Social Science Education Volume 14, Number 1, spring 2015.

ბის გამოხატვას და გენერალიზაციას იმ ნორმატიულ ვითარებაში, რომელშიც წინასწარაკვიატებების გამოხატვა ოფიციალურად აკრძალულია. ამ ჩარჩოებში ისტორიის სახელმძღვანელოები აღიქმება, როგორც იდეოლოგიის ინსტრუმენტები.

ავტორი განიხილავს ცნობილი მკვლევრების მიშელ ეფლისა[45] და ჯონ ანიონის[46] ნაშრომს, რომლებიც სწავლობდნენ არა მარტო სახელმძღვანელოებს, არამედ იმასაც თუ კონკრეტულ ვითარებაში როგორ ისწავლებოდა ისინი, სასკოლო მიკროპოლიტიკის კონტექსტში. გამოკვლევა პროცესის მონაწილეთა ინტერვიუებსაც მოიცავდა. მათ აჩვენეს თუ კონსტრუირებული რეალობის საშუალებით როგორ ხდება საზოგადოების კონტროლი. ავტორი განიხილავს სხვა მკვლევრების წვლილსაც. ვიქტორ ვორონკოვმა და ოქსანა კარპენკომ[47] შეისწავლეს თანამედროვე რუსული ნაციონალისტური დისკურსი. ფუკოს სტილში დაუკვირდნენ „ხალხის“ და მშობლიური მიწის რეპრეზენტირებას. პატრიოტული დისკურსი აყალიბებს მძლავ ძალუფლებრივ ურთიერთობებს. მკვლევრებმა აჩვენეს სახელმწიფოებრივი პატრიოტული იდეოლოგიის ნაციონალისტური ფესვები და ისიც თუ როგორ გადაიქცა საბჭოთა დისკურსი ახალ ნაციონალისტურ დისკურსად.

სერგეი სოლოვიოვმა[48] განიხილა 2002 წელს გამოსული რუსული სახელმძღვანელოებში იდეოლოგიური მითები. შეჩერდა ფაქტების ფალსიფიკაციაზე და სიცრუეებზე ახალ სახელმძღვანელოებში ომე-

---

[45] Michael W Apple and Linda Christian-Smith. The Politics of the Textbook. New York: Routledge, 1991; Michael W. Apple. Official Knowledge, Democratic Education in a Conservative Age. New York: Routledge, 2000.

[46] John Anyon. Ideology and the United States History Textbooks. Harvard Education Review, 1979, 49(3), 361–386; John Anyon. Ghetto Schooling: A Political Economy of Urban Education. Teachers College Press, 1997.

[47] Viktor Voronkov and Oksana Karpenko. Patriotism as Nationalism of (post)soviet man. In: M. Laruel (Ed.), Modern Interpretations of Russian Nationalism, ibidem-Verlag. Stuttgart, 2007, 81–128.

[48] Sergey Soloviev. Ideological Myths in Recent History Textbook. In: The Representation of Modern History in Russian Public Conscience and Historiography, 1985-2000: Theoretical and Practical Conference. Moscow, 2009, 227-245.

ბის, რევოლუციების, კლასობრივი ბრძოლების, რეპრესიების, სახელმწიფოს კოლაფსის, ტრამვატული მოვლენების, სოციალურ კონფლიქტების რეპრეზენტირებასთან დაკავშირებით. ფაქტობრვად, ავტორი განიხილავს საგანმანათლებლო სისტემას, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიურ აპარატს და ამტკიცებს, რომ შეუძლებელია არაიდეოლოგიზებულად ისტორიის სწავლება. აჩვენებს, რომ 2002 წლისათვის რუსეთში წარსულის მონარქიულ-ნაციონალისტური ვერსია გახდა დომინანტური. ეს არა მარტო სახელმწიფოს აძლევდა ხელს, არამედ ხალხის მოთხოვნილებასაც ემსახურებოდა. ბევრი ავტორი საბჭოთა რეპრეზენტაციის მოდელებს ავლენს და ცვლის ტონს „მთავარი იდეოლოგიური მიმართულების“ მიხედვით. მაგრამ არა მარტო სახელმწიფო, არამედ სოციალური სტერეოტიპებიც მოქმედებენ წიგნების შინაარსზე.

ნორმატიულად რუსეთში ისტორია წარმოდგენილია, როგორც მეცნიერება არა მარტო ჰუმანიტარიისათვის, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანაბრადაც კი, მაგრამ რეალურად ის მოკლებულია კვლევის რაიმე ნიშან-წყალს. რუსული სახელმძღვანელოები აფიქსირებს აკვიატებებს, მაგალითად, ასეთს: „ჩვენ ყველანი ვართ პატარა ნაწილები დიდი დედასამშობლოსი, რომელიც ჩვენ უნდა გვიყვარდეს“. „ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, ჩვენი ცხოვრების უკეთ გაგებისათვის. ისტორია არის ჩვენი ოჯახის, ჩვენი ერთობის, ჩვენი წარმომავლობის შესახებ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არ დავუშვათ შეცდომები“.

ამის მიუხედავად, ოჯახის ისტორიებზე არაფერია ამ სახელმძღვანელოებში, ყოველდღიურობაზეც არაფერია, არამედ მაკრო-ისტორიულ პოლიტიკაზეა საუბარი მხოლოდ. სუპერ გმირები არიან ისტორიული პროცესების აქტორები. მარქსისტული მემკვიდრეობის მიუხედავად, რუსეთის ისტორია არაა ხალხებზე, ხალხები უჩინარად არიან წარმოდგენილი როგორც პასიური მსხვერპლნი (სუპერგმირმა ვიღაც არა-გმირისაგან უნდა გადაარჩინოს, უნდა იზრუნოს ხალხზე).

ავტორს შეუდარებია უკანასკნელი დროის რუსული სახელმძღვანელოები საბჭოთა სახელმძღვანელოებისათვის. მკითხველთან კომუნიკაციის და თხრობის კულტურის თვალსაზრისით. სტალინის პერიოდის სახლმძღვანელოები ტოტალურად ძლიერი იყო დიდაქტიკის თვალსაზრისით და არავითარ დიალოგს და ინტერაქციას არ გულისხმობდა მოსწავლესთან. ბრეჟნევის ეპოქაში ეს დიალოგი ხდებოდა ამოცანებში, საკონტროლო კითხვებში. 90-ანი წლების სახელმძღვანელოები ამის საპირისპიროა, მაგრამ ეს არ იყო უნივერსალური ტენდენცია. განსხვავება რუსულ და ევროპულ სახელმძღვანელოებს შორის მარტო იმასთან არაა დაკავშირებული თუ როგორ ახდენენ ისინი ძალაუფლების კონტროლირებას, არამედ იმასთანაც თუ როგორ კონტაქტობენ. მაგრამ ყველა ერთნაირი არაა.

ამ ვითარებას მკვლევარი ბრიტანულ გამოცდილებას უპირისპირებს: ბრიტანული სახელმძღვანელო, მისი მითითებით, ეუბნება მოსწავლეებს: კი არ დაიმახსოვრონ, არამედ დაასაბუთონ, და წარსული მოვლენების ახსნა მოახდინონ.

ახალი სახელმძღვანელოები ორ პოზიციას გამოხატავს: კონსერვატორულსა და ლიბერალულს, მაგრამ ორივე რევოლუციას განიხილავს როგორც კრიზისს, უწესრიგობას და ომიანობის დამანგრეველ შედეგს.

Sven Saaler, History Textbooks in Postwar German and Japanese Education.[49]

ჩანს, რომ ნაშრომი არის მოხსენება, რადგან შესავალში ავტორი საუბრობს თხუთმეტწუთიან რეგლამენტზე და ყველა საკითხზე შეჩერების შეუძლებლობაზე ამის გამო. ტოკიოს უნივერსიტეტის წარმომადგენელია. თავიდანვე მიუთითებს, რომ ბევრი რამ არის დაწერილი იმ განსხვავებებზე, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში იაპონიისა და გერმანიის საგნმანათლებლო სისტემებში შეინიშნება ისტორიის სწავლების საკითხში. ამიტომ ის ფოკუსირდება მხოლოდ

[49]http://www.japanesehistory.de/docs/Saaler%20Education%20Germany%20and%20Japan.pdf

სახელმძღვანელოებზე. ამოსავალი ამ ნაშრომისათვის არის ის, რომ იაპონიაში სახელმძღვანელოების საკითხი ომის შემდგომ პერიოდში ცხარე დებატების საგანი იყო, მაშინ როცა გერმანიაში ის ზედაპირზე არასოდეს ამოსულა. რა თქმა უნდა, გერმანიაში მუდმივად იყო მსჯელობა სახელმძღვანელოების გაუმჯობესების თაობაზე, როგორც იაპონიაშიც, მაგრამ გერმანიაში არ იყო ფართო საზოგადოებისა და მედიის ჩართულობა ამ საკითხთან დაკავშირებით. პირველი მიზეზი ამისა იყო საგანმანათლებლო სისტემაში საზოგადოდ და, კონკრეტულად, ისტორიის სწავლებაში პოლიტიკური ინტერვენციის განსხვავებული ინტესივობა. დასავლეთ გერმანიაში სახელმწიფოს ჩარევა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ომის წინა პერიოდის პრაქტიკა, როცა სახელმძღვანელოების გამოშვება სახელმწიფოს ჩარევით ხდებოდა, გაუქმდა, ისევე როგორც იაპონიაში და სახელმძღვანელოებისათვის ბაზრის ლიბერალიზაცია მოხდა. გერმანიაში სახელმძღვანელოს შინაარსი საზოგადოებრივი კონსესუსის და ისტორიული მეცნიერების მიხედვით ჩამოყალიბდა. იაპონიაში სახელმწიფოს მკაცრი კონტროლი ისტორიაზე და სოციალურ მეცნიერებებზე დარჩა, ისევე როგორც პოლიტიკური ზეწოლა. მეორე მიზეზი სახლმძღვანელოებზე დებატების განსხვავბულობისა, არის განსხვავებული რეაქცია უცხოეთის კრიტიკაზე. გერმანიისათვის ძალიან აუცილებელი იყო ევროპული თანამეგობრობის აზრის გათვალსიწინება გერმანიის ომის პერიოდის წარსულზე. იაპონიისათვის თავის აზიელ მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობა არ იყო: სამხრეთ კორეასთან ურთიერთობების აღდგენას აშშ-ს დახმარებით მიაღწია 1965 წელს, თუმც ნორმალიზებულად ეს ურთიერთობები დღემდე არ შეიძლება ჩაითვალოს. ჩინეთთანაც ნელ-ნელა ხდებოდა ეს ნორმალიზება და შესაძლებელი მხოლოდ 1972 წლის შემდგომ გახდა.

მესამე მიზეზი კი არის განსხვავებული დამოკიდებულება ისტორიის სწავლების უმთავრესი იდეისადმი. ეს ორივე ქვეყანაში განსაზღვრულია კურიკულუმის გზამკვლევებში. იაპონიის განათლე-

ბის სამინისტროს გზამკვლევში ისტორიის სწავლების მიზნად მიჩნეულია მოსწავლეებში ნაციის ისტორიისადმი სიყვარულის გაღრმავება, პატრიტიზმის ანუ ჯანსაღი ნაციონალიზმის განვითარება. გერმანიაშიც პატრიოტიზმი განვითარება მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, მაგრამ უფრო ხაზგასმულია, რომ საჭიროა წარსულის ცოდნა, რომ უკეთ გავიგოთ აწმყო და მივაღწიოთ უკეთეს მომავალს. ამასთან დაკავშირებით სრულ სიმართლეს ასწავლიან ომის პერიოდის გერმანიის ისტორიის შესახებ. ამ მიზანს აღწევენ სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების ძალისხმევის გზით, როგორიცაა მაგალითად, Georg Eckert-Institute for Textbook Research or the Federal Center for Civic Education. ეს ინსტიტუტის დღეს ძალიან ბევრს აკეთებს იმისათვის რომ ისტორიის სწავლებას მოაცილოს ყოველგვარი წინასწარი აკვიატებანი და ხელი შეუწყოს სოციალურ ჰარმონიას. იაპონიაში ასეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტები არაა. საზოგადოება ოპოზიციაშია სახელმწიფო ხელისუფლებასთან. საზოგადოება ცნობს ურთიერთობების მოწესრიგებისა და ჰარმონიისაკენ სწრაფვას, სახელმწიფო ხელისუფლება კი აქცენტს აკეთებს პატრიოტიზმზე და თრგუნავს ინდივიდებს. ხელისუფლებას სჭირდება ისტორიის მხოლოდ „ნათელი სურათი".

Rob Siebörger. History and the Emerging Nation: The South African Experience.[50]

ავტორი არის კეიპ ტაუნის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. მეოცე საუკუნის 90-ანი წლებიდან დღემდე აფრიკული სკოლების კურიკულუმის განხილვას ისახავს მიზნად ეს სტატია. საქმე ეხება პოსტაპარტეიდის პერიოდის სწავლებას. ირკვევა, რომ ინიციატივები შექმნილიყო ახალი კურიკულუმი, მხოლოდ ნაწილობრივ იყო წარმატებული. ნელსონ მანდელას შემდგომ ყველანი მოელოდნენ, რომ ისტორია თავის ადგილს დაიკავებდა და აპარტეიდის კურიკულუმს განდევნიდა აფრიკანუ-

[50] http://centres.exeter.ac.uk/historyresource/journal1/Sieborgered-kw.PDF

ლი ნაციონალისტური კურიკულუმი. მაგრამ ერთი ნაციონალიზმის მეორეთი ჩანაცვლება არაფერს კარგს არ მოიტანდა. დასავლეთში მოღვაწე აფრიკელი მეცნიერები შესანიშნავ სახელმძღვანელოებს წერდნენ. სპეციალური კონფერენციები ეწყობოდა, საჭიროდ თვლიდნენ, რომ ლიბერალური პოზიციაც ყოფილიყო დაფიქსირებული. მაგრამ ისტორიის სწავლებას მაინც დიდი პრობლემები აღმოაჩნდა. მძიმე იყო წარსულის გახსენება. ძალიან საინტერესოა ამ კუთხით ინტერვიუები მასწავლებლებთან და მოწაფეებთან, რომელიც წარმოდგენილია ამ გამოკვლევაში ერთ-ერთ სხვა გამოკვლევაზე დაყრდნობით. ზოგი მოწაფის აზრით, მაგალითად, ისტორია ცუდი საგანია, რადგან არ იძლევა მშვიდობის დამყარების საშუალებას, უნდა დავივიწყოთ ისტორია და ავაგოთ ჩვენი მომავალი ასე. თუმც ზოგი ფიქრობს, იმის გამო, რომ ისტორია ტკივილს გვაყენებს, არ უნდა უარვყოთ ისტორიის სწავლება. მასწავლებებლების აზრიც არაა ერთიანი. ისინი მიუთითებენ, რომ საოცრად ძნელია რასობრივად დაყოფილ აუდიტორიაში ისაუბრო მრავალფეროვნებაზე და ახალ სამხრეთ აფრიკაზე. ამ ვითარებაში რასიზმზე და უთანასწორობაზე საუბარი სახიფათოა. მასწავლებლები არ არიან დარწმუნებულნი, რომ ისტორიის სწავლებით კარგ რამე აკეთებენ, რადგან ეს არის მოსწავლეებისათვის შოკი. სხვები ფიქრობენ, რომ უნდა ვისწავლოთ ისტორია, რადგან ვიცოდეთ ახლა რატომ არის ვითარება ასე ცუდი.

ბევრი საინტერესო ნაშრომი აქვს ამ ავტორსაც დამოწმებული.[51]

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართულ სინამდვილეში ისტორიის სახელმძღვანელოების და, კონკრეტულად, ეროვნული ისტო-

[51] Sarah Dryden.Mirror of a Nation in Transition: Case Studies of History Teachers and Students in Cape Town Schools: unpublished MPhil dissertation, University of Cape Town, 1999; Aslam Fataar. Notes from a Talk at the Southern African Comparative and History of Education Society conference, Windhoek, 15-18 October, 2000; History Education Group History matters. Debates about a new history curriculum for South Africa Johannesburg: Heinemann-Centaur, 1993; Rob Siebörger. New History Textbooks for South Africa Manzini: Macmillan Boleswa, 1994.

რიის სახელმძღვანელეობის შესახებ ქართველ სპეციალისტთა ნაშ-
რომების ერთი ნაწილი არის უცხო ენაზე. ჩვენ ამჯერად მათზე არ
შევჩერდებით, რადგან ქართველი მკითხველისათვის საკუთარი ნა-
აზრევის გაცნობას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ისინი თავად
ახდენენ და ამ მხრივ ინფორმაციის ნაკლებობა არ არის მოსალოდ-
ნელი.

დასკვნა

პროექტის იდეა, როგორც ითქვა, ეფუძნებოდა გარკვეულ თეორიულ წანამძღვრებს, კერძოდ, იმას, რომ კოლექტიური იდენტობის წარმოშობისა და შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეხსიერებას, რომ სწორედ კოლექტიური მეხსიერება, პირველ რიგში, აყალიბებს ჯგუფს და მხოლოდ მისი შემდგომია ყველა სხვა მაკონსოლიდებელი ფაქტორი. მეორე თეორიული მოცემულობა ის იყო, რომ ადამიანურ იდენტობათა უმეტესობა სოციალურად კონსტრუირებულია, შესაბამისად, კოლექტიური მეხსიერება გარკვეულწილად მართულია ჩვენ-ჯგუფების კულტურული და პოლიტიკური ელიტების მიერ. ელიტების მიერ იდეების ჯგუფში გავრცელების შედეგს წარმოადგენს სწორედ მეხსიერებაც და მისგან გამომდინარე კოლექტიური იდენტობაც. ინდივიდს ახსოვს კოლექტივში და კოლექტივის გარეშე ყველაზე უფრო პრივატული ფაქტების მახსოვრობაც კი არ არსებობს. მესამე წანამძღვარი ისაა, რომ იდეების გავრცელებისათვის საჭიროა მედია საშუალებები; ყველა ეპოქაში საზოგადოებებს ახასიათებს თავისებური მედია საშუალებები; ეპოქები და საზოგადოებები, პირველ რიგში, სწორედ გამოყენებული მედია საშუალებების თვალსაზრისით განსხვავდებიან. ბეჭდური მედიის წარმოშობას უკავშირდება ერების წარმოშობა. დღეს ფართოდ გავრცელებული თვალსაზისის მიხედვით, რომელიც ბენედიქტ ანდერსონს ეკუთვნის, ერები – ეს წარმოსახვითი ერთობებია, რომელთა შიდა სოციალურ შეჭიდულობას სწორედ ბეჭდური მედია ქმნის. მედია აყალიბებს საერთო ინტერესების მქონე დიდ ჯგუფს. მედია დაკავშირებულია საგანმანათლებლო სისტემასთან. ერების დროს საგანმანათლებლო სისტემა უნიფიცირებულია, საერთოდაც კულტურა უნიფიცირებულია, რადგან ერი სოციალურად ჰომოგენურ ერთობას ნიშნავს. სწორედ ამასთან დაკავშირებით იკვეთება სახელმძღვანელოების, როგორც მედია საშუალებების, რო-

ლი. ვგულისხმობთ სახელმძღვანელოებს ისტორიაში და, კერძოდ, ეროვნულ ისტორიაში. როგორც აჩვენებს მრავალი ქვეყნის შემთხვევის განხილვა, სახელმძღვანელოები მხოლოდ ისტორიული რეპრეზენტაციის შედეგების მიწოდებას არ ისახავს მიზნად. ისინი იქმნება გარკვეული ინტერესთა ჯგუფების დაკვეთით, რომელთა მოტივაცია ხშირად სულაც არაა ისტორიული რეპრეზენტაცია, როგორც ასეთი. საზოგადოდ სახელმძღვანელოები მოწაფეების, სტუდენტების კონკრეტული იდეებით გამსჭვალვას ემსახურება და გარკვეულად უკავშირდება ძალაუფლებასა და კონტროლს. ამის კლასიკური მაგალითია თუნდაც ი.სტალინი და მისი დამოკიდებულება ისტორიის სახელმძღვანელოებისადმი. წარსულის შესახებ მეცნიერება ამისათვის ყველაზე გამოსადეგია, რადგან, „ვინც აკონტროლებს წარსულს, ის აკონტროლებს აწმყოსაცნ. ამიტომ ნარატივი წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში, უმეტეს შემთხვევაში, არის არა ისტორია, არამედ კოლექტიური მეხსიერება. ანუ პროგრამა, რასაც ჯგუფის კულტურული და პოლიტიკური ელიტა მიიჩნევს, რომ უნდა იქნეს დამახსოვრებული და გათავისებული ამ ჯგუფის არსებობის შესანარჩუნებლად და საკეთილდღეოდ (და შესაბამისად, ამ ელიტის საკეთილდღეოდაც). ვინაიდან საყოველთაო თანასწორობის პირობებში სახლმძღვანელოები აღწევს პრაქტიკულად ყველა ადამიანს, მისი, როგორც მედია საშუალების, ეფექტი წარმოუდგენლად დიდია და მას კონკურენციას თვით ელექტრონული მედიაც კი ვერ უწევს. მეხსიერება, სახელმძღვანელოები, საზოგადოება და ძალაუფლება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილეთ ისტორიის და, კონკრტეულად, ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების შესახებ არსებული უახლესი უცხოენოვანი სპეციალური ლიტერატურის ნაწილი. ამ მიმოხილვის მიზანი იყო, რომ სხვადასხვა შემთხვევის ანალიზზე დაკვირვებით თვალსაჩინო გაგვეხადა ისტორიის სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, როგორც საისტორიო წყაროსი. ვფიქრობთ, მოყვანილი მასალის საფუძველზე ეს კარგად დაინახა მკითხველმა: სახელ-

მძღვანელოები არის ირიბი წყარო იმ საზოგადოების განათლების სისტემის, და აქედან გამოდინარე მთელი საზოგადოების, შესახებ, რომელმაც შესაბამისი ტექსტები წარმოშვა. სახელმძღვანელოების გზით ხდება ეროვნული იდეტობის ფორმირება. ის არის ეროვნული იდენტობრივი ნარატივის საუკეთესო ამსახველი, რადგან წარმოადგენს, ჯერ ერთი, ნორმატიულ ისტორიოგრაფიის თავისებურ მოდუსს, მეორეც მასობრივ მედიას, რომელიც ადრეული ასაკიდან აღწევს პრაქტიკულად ერის ყველა წევრამდე და გამსჭვალავს მას.

ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომების ფოკუსი სხვადასხვა იყო, საანალიზო მასალაცა და აქცენტებიც სხვადასხვა. ერთიანობაში ისინი გვაძლევს კარგ გამოცდილებას იმისათვის თუ როგორ შეიძლება მივუდგეთ ქართულ სინამდვილეში არსებული სახელმძღვანელოების კვლევას და წყაროდ მათ გამოყენების საკითხს. ამგვარად საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზა, განსაკუთრებით უახლესი ისტორიის, მნიშვნელოვნად შეიძლება შეივსოს.

ამ მიმოხილვამ აჩვენა ისიც, რომ სახელმძღვანელოების კულტურულ-ანთროპოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კუთხით ანალიზი მარტო სამეცნიერო მიზნებისათვის არაა სასარგებლო: ისტორიის სწავლებისათვისაც ძალიან მნიშვნელოვანი შედეგის მომცემია, რომ მოსწავლე თუ სტუდენტი გავხადოთ შესაბამისი კვლევების მონაწილე, მივცეთ მათ საშუალება თავად დაუკვირდნენ ცვლილებებს ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოთა შინაარსში თუ სტრუქტურაში. ეს მათ არა მარტო წარმოდგენილ ისტორიის ფაქტებს დაამახსოვრებინებს კარგად, არამედ ზედმიწევნით გააცნობიერებინებს იმ ისტორიულ კონტექსტსაც. რომელმაც ეს სახელმძღვანელოები წარმოშვა.